პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1977 სამშაბათი 31 მაისი № 126 (16866) ფასი 2 კაპ. 1977

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

საოქტომბრო ვასტფლ

ქერს მკიან ალაფანზე

ლილნადი. („კომუნისტის“ კორ.). თთას ოთხას ოცდაორ ჰექტარზე ბიბინებს თავთავიანი მარცვლეულის ყანები. გაქირის კოლეტურნეობაში კომბაინერები ლერი სიფრაშვილი და ბიჭიკო იასეშვილი რაიონში პირველნი შერჩევით შეუდგნენ ქერის მკას. მათ პირველ დღესვე თვითეულმა 8 ჰექტარის ნაცვლად მოამეს 10 ჰექტარი და საშუალოდ ჰექტარზე გალეწეს 23 ცენტნერი მარცვალი. მოსალოდნელია კოლმეურნეობაში საშუალოდ ჰექტარზე მიიღონ 30 ცენტნერი პურისა და 25 ცენტნერი ქერის მოსავალი.

მალე თავთავიანი მარცვლეულის მკას დაიწყებენ ბოდბისხევის, ჭუბაანის, ტიბაანის, ანაგასა და სხვა სოფლების კოლმეურნეობები, — განაცხადა საქართველოს კომპარტიის სიღნაღის რაიკომის პირველმა მდივანმა ვ. ქარუმიძემ — საერთოდ მოსავალს კარგი პირი უჩანს. რაიონის მშრომელები ყველაფერს იღონებენ იმისათვის, რომ პურეულის მოსავლის აღება-დაბინავება დაამთავრონ 10-12 სამუშაო დღეში, მოსავლის აღების პარალელურად აგროვადებში ნაწვერალზე დათესონ სიმინდი, პირუტყვისათვის შექმნან მტკიცე საკვები ბაზა.

შემხიბლობის ტაბანგაფლი

[illegible]

ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლა ტელევიზიით 29 მაისს

პატივცემულო საბჭოთა და ფრანგ ტელემაყურებლებო!

არც ისე დიდი ხნის წინათ მე უკვე გამოვედი ტელევიზიით საფრანგეთისათვის გათვალისწინებულ გადაცემაში. მაშინ, გასული წლის ოქტომბერში, საფრანგეთის ტელევიზიით საბჭოთა კავშირის კვირეული ნიმდინარეობდა. ახლა კი საბჭოთა ტელევიზიით მთავრდება საფრანგეთის კვირეული. ამ თვალსაზრისით, მგონია, საფრანგეთი და საბჭოთა კავშირი სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების ქვეყნებს შორის რეგულარული გაცვლის ახალი ფორმის წამომწყებებად გვევლინებიან. კარგი იქნება, თუ ასეთი წამოწყება ტრადიციად დამკვიდრდება.

საერთოდ საფუძველი გვაქვს ვთქვათ, რომ საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის თანამშრომლობაში მდიდარი ტრადიციები შეიძინეთ. მე მხედველობაში მაქვს: პრაქტიკულად ყოველწლიური უმაღლესი დონის შეხვედრები; მუდმივი კონსულტაციები ურთიერთობის გაღრმავებისა და აქტუალურ საერთაშორისო საკითხებზე ზოგჯერ გაზიარების მიზნით; ყოველ ხუთწლეულში საქონელბრუნვის გაორკეცებულ ტემპურულ ღირებულებათა ფართო გაცვლა, რასაც უკვე თავისი დიდი ისტორია აქვს.

ჩვენ იმის მომხრენი ვართ, რომ ჩვენი ქვეყნების ხალხთა ინტენსიური კავშირურთიერთობა სულ უფრო ღრმავდებოდეს, ხოლო ამ ურთიერთობის ფორმები სულ უფრო მრავალფეროვანი და ნაყოფიერი ხდებოდეს. ჩვენ სულ უფრო მეტად და უკეთ გავიცნობთ ერთმანეთს. ამას ერთმანეთისადმი ნდობა მოჰყვება.

ეინ არ იცის, რა დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენს დროში ქვეყნებს შორის ნდობის განმტკიცებას. ასეთი ნდობა უაღრესად დიდმნიშვნელოვანი რამ არის, როცა საქმე ეხება ურთიერთობის ისეთ დელიკატურ სფეროს, როგორიც არის თვითეული ხალხისა და ყველა ხალხის უშიშროება. ეს უზრუნველყოფა. ეს თავადი ამოცანაა თავიდან ავიცილოთ გამალებული შეიარაღების სპირალის შემდგომი გაშლა.

შეიძლება ზოგმა თქვას, ამ თემაზე უკვე ბევრი ლაპარაკი იყოო. მაგრამ ჭეშმარიტება უზალთუნი კი არ არის, რომ ხშირი ხმიერებისაგან ცვდებოდეს. თანაც სპირალი განვლილის უბრალო განმეორება არ გახლავთ. თავი რომ დავანებთო იმას, რომ ალანტენა უკვე ყელამდე სავსეა მასობრივი მოსპობის საშუალებებით, რეალურად არსებობს, და ყოველწლიურად მატულობს იმის საფრთხე, რომ შეიქმნება იარაღის ახალი სახეობანი და ახალი სისტემები, რომლებიც მრავალჯერ უფრო დაზიანებელი იქნება. იტყვით, რაღა საჭიროა, განა არ კმარაო. დიახაც, დროა შეეჩერდეთ!

დარწმუნებული ვარ, რომ ვერც ერთი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე, ვერც ერთი მოაზროვნე კაცი თავიდან ვერ აიცილებს თავის წილ პასუხისმგებლობას ომის საფრთხის წინააღმდეგ ბრძოლაში. ეს ხომ ერთი კაცობრიობის მომავლისათვის პასუხისმგებლობაა.

არ დაგმალავთ, ჩვენი წუხილი გამალებული შეიარაღების, კერძოდ სტრატეგიული შეიარაღების გამო, რომელიც კვლავ გრძელდება, გაიზარდა იმ გეზის გამო, რომელსაც იმ საკითხებში დაადგა ამერიკის ახალი ადმინისტრაცია. აშკარაა, რომ ამ გეზის მიზანია ამერიკის შეერთებული შტატებისათვის ცალმხრივ უპირატესობათა მოპოვება. ეს, ცხადია, სრულიადაც არ უწყობს ხელს სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის შესახებ სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების იმ ახალი, ერძელვადიანი შეთანხმების მომზადებასა და დადებას, რომლის შემუშავება ისედაც ეზომოდ გაჭიანურდა.

მართალია, ამ დღეებში ჟენევაში სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრისა და ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის შეხვედრის შედეგად, მოსკოვის მარტის მოლაპარაკებასთან შედარებით, წინათ შეუთანხმებელი საკითხებიდან ზოგიერთი საკითხის გამო პოზიციები რამდენადმე დაახლოვდა, მაგრამ პირდაპირ უნდა ითქვას: ამერიკის შეერთებული შტატების არაკონსტრუქციული გეზის გამო ჯერჯერობით ვერ მივაღწიეთ ალბერთოზულ წინსვლას. როგორც ჩანს, კიდევ დიდი მეცადინეობა დაგვჭირდება. მთავარი ის არის, რომ ამერიკის ადმინისტრაცია მთლიანად რეალისტურ პოზიციას დაუდგეს და თანასწორობისა და თანაბარი უშიშროების პრინციპით იხელმძღვანელოს.

რაც შეეხება საბჭოთა კავშირს, ამას წინათ უკვე ვთქვი და კიდევ გავიმეორებ: ჩვენ ძალ-ღონეს არ დავზოგავთ არა მარტო გამალებული შეიარაღების რაოდენობრივი და თვისებრივი შეზღუდვისათვის, არამედ აგრეთვე ურთიერთმისაღები სამართლიანი პირობებით განიარაღებისათვის ბრძოლაში. თუ შეუძლებელი იქნება ერთბაშად დავძლიათ ადგილიდან ომისშემდგომ დაგროვებული და ამასთან დაკავშირებული პრობლემების მთელი ლოდი, ჩვენ მზად ვართ ნაწილობრივი ღონისძიებებისათვის. ამ ღონისძიებებს ხომ მოკრძალებულად „ნაწილობრივს“ უწოდებენ, მაგრამ თვითეული მათგანის რეალიზაცია რამდენადმე შეამცირებდა ომის საფრთხეს, შეამსუბუქებდა გამალებული შეიარაღების ტვირთს, რომელიც მშრომელ მასებს აწვება.

მაშ რაზეა ლაპარაკი?

დავიწყებ ატომური იარაღის შემდგომი გავრცელების შეუწყნარებლობის პრობლემით. მისი გავრცელება სხვადასხვა ქვეყანაში ვერ გაძლიერებს ვერც ერთი მათგანის უშიშროებას და არამც და არამც არ შეუწყობს ხელს იმ შედარებითი წონასწორობის შენარჩუნებას, რაც დღეისათვის შეიქმნა. მაგრამ გაზრდით კი გაზრდის ატომური კონფლიქტის, თუნდაც შემთხვევითი კონფლიქტის წარმოშობის საფრთხეს. და მაშინ ვერავითარი „ატომური ქოლგა“ ვერ გვიხსნის სასიკვდილო მეხისგან. აი რატომ არის საჭირო შემდგომი ღონისძიებანი ამ პრობლემის ქმედითი, უნივერსალური გადაწყვეტისათვის.

შემდეგ, ჩვენი წინადადებაა დაიდოს შეთანხმება, რომელიც აკრძალავს მასობრივი მოსპობის იარაღის ახალ სახეობათა და სისტემათა შექმნას. ამით ყველა მხოლოდ მოიგებდა.

ჩვენს მოკავშირეებთან — ვარშავის ხელშეკრულების მონაწილეებთან ერთად გამოვთქვით აზრი ჰელსინკის თათბირის მონაწილე ქვეყნები შეთანხმებულიყავით, რომ პირველნი არ გამოვიყენებთ ერთმანეთის წინააღმდეგ ატომურ იარაღს. ამ საკითხზე მოლაპარაკება და მისი გადაწყვეტა მარტო თავისთავად კი არ იქნება დიდმნიშვნელოვანი, მწამს, ეს ახალ შესაძლებლობებს დაუსახავდა ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღების შემცირებას, განსაკუთრებით იქ, სადაც ასეთი შეიარაღების კონცენტრაცია დიდია.

არ ჩამოვთვლი ყველა წინადადებას, რომლებიც ბოლო წლების მანძილზე წამოვაყენეთ იმ მიზნით, რომ შეგვემცირებინა ომის საფრთხე. ამის თაობაზე ჩვენი წინადადებანი კარგად არის ცნობილი. ჩვენ ამ წინადადებას იმიტომ ვაყენებთ, რომ სამხედრო ძლიერების ზრდის პოლიტიკა სულ უფრო მკვეთრად და აღმაშფოთებლად ეწინააღმდეგება საერთაშორისო უშიშროების ინტერესებს. ჩვენს ინიციატივებს ერთი აზრი აქვს: უშიშროება გამალებული შეიარაღების ალაგმვის მეშვეობით, განიარაღების მეშვეობით.

რა თქმა უნდა, პოზიტიური გადაწყვეტილებანი, რომლებზეც მე ვლაპარაკობ, მრავალი სახელმწიფოსა და ხალხის ერთობლივ მეცადინეობას მოითხოვს. და ყოველი მათგანისათვის იქნება საქმიანობის ფართო სარბიელი. ეჭვი არ არის, რომ ისეთ სახელმწიფოს, როგორიც საფრანგეთია, არსებითი წვლილი შეუძლია შეიტანოს ამ საქმეში. ჩვენი ყურადღება მიიპყრო 1976 წლის 12 ოქტომბერს საფრანგეთის ტელევიზიისათვის მიცემულ ინტერვიუში პრეზიდენტ ვ. ჟისკარ დ'ესტენის სიტყვებმა, რომ საფრანგეთი საყოველთაო და სრულიეფექტიანი განიარაღების იდეის ერთგულია. ეს დიდმნიშვნელოვანი განცხადებაა.

მე არაერთხელ მითქვამს, რომ დაძაბულობის შენელება ნაყოფიერ გავლენას მოახდენს მთელ საერთაშორისო კლიმატზე. არავითარი საფუძველი არა მაქვს შევცვალო ეს შეფასება. და მაინც სწორი იქნებოდა იმის თქმა, რომ აქა-იქ დაძაბულობის შენელებამ გარკვეული თვითდამშვიდება გამოიწვია.

კიდევ და კიდევ ვიტყვი — მშვიდობისა და დაძაბულობის შენელების საქმე ყველას საქმე უნდა იყოს. მშვიდობის განმტკიცების გზაზე მიღწეული ზღვარი არ არის, არამედ საწყისი წერტილია ახალი მოქმედებისათვის. ჩვენ მზად ვართ ამისთვის და, ვიმედოვნებთ, საფრანგეთიც ამავე მიმართულებით იქნის.

სრულიად ევროპის თათბირის მონაწილე ყველა სახელმწიფოს შესაძლებლობა აქვს კვლავ ცხადყოს პრაქტიკულად თავისი კეთილი ნება ბელგრადის შეხვედრასთან დაკავშირებით, რომელიც მალე გაიმართება. ჩვენ გვინდა, რომ იგი როგორც ჩაფიქრებული იყო კიდეც, ჰელსინკის სულისკვეთების განგრძობად და განვითარებად, დაძაბულობის შენელების პროცესის განვითარების კიდევ ერთ რგოლად იქცეს. შესაძლებელია თუ არა ამის მიღწევა? შესაძლებელია, თუ მისთვის მოვემზადებით და მოვაწყობთ როგორც თანამშრომლობის, და არა განხეთქილების აქციის. ვინც სხვა მიმართულებით ეცდება მის წაყვანას, დიდ პასუხისმგებლობას იკისრებს.

მშვიდობის განმტკიცება ადამიანის უდიდესი უფლების — ცხოვრების უფლების უმნიშვნელოვანესი გარანტიაა. მაგრამ ცხოვრება ჩვენ გვესმის არა როგორც უბრალო სიცოცხლე, არამედ ადამიანისათვის ღირსეული სიცოცხლე. ცხადია, სხვადასხვა სოციალური ფენები და სხვადასხვა პოლიტიკური ძალები სხვადასხვა საზოგადოებრივ იდეალებს აღიარებენ. ჩვენმა ხალხმა 60 წლის წინათ მტკიცედ და საბოლოოდ აირჩია თავისი გზა — სოციალიზმისა და კომუნიზმის გზა.

ამ გზაზე მიღწეული შედეგების შესახებ მრავალი მაჩვენებლის მიხედვით შეგვიძლია ვიმსჯელოთ, თუ გავითვალისწინებთ ციფრებს, ფაქტებს, შედარებას. ყოველივე ამის თქმას დიდი დრო დასჭირდებოდა. ამიტომ ნება მიბოძეთ ავიღო ერთი საზომი — ადამიანის მდგომარეობა საზოგადოებაში. და თუ ამ საზომს ავიღებთ, შეგვიძლია ვთქვათ: ახლა ყოველი საბჭოთა ადამიანი დარწმუნებულია, რომ არასოდეს არ იქნება უმუშევარი, რომ საჭირო განათლებას მიიღებს, რომ მისი ნიჭი და ტალანტი სარბიელს პოვებს, რომ იგი ბედის ანაბარა არ დარჩება ავადმყოფობის შემთხვევაში, რომ იგი უზრუნველყოფილი იქნება მოხუცებულობაში, რომ მას შეუძლია მშვიდად იყოს, არ აწუხებდეს თავისი შვილების მომავალი. ვფიქრობ, ეს არც ისე ცოტაა. მაგრამ ეს მხოლოდ ნაწილია იმისა, რასაც მივაღწიეთ, და, მით უმეტეს, იმისა, რასაც ვესწრაფვით.

საბჭოთა ხალხი მეურნეობის განვითარების მეათე ხუთწლიანი გეგმის შესრულება, რომლის ძირითადი მიმართულებანიც პარტიის XXV ყრილობამ განსაზღვრა, კიდევ უფრო ხელსაყრელ სოციალურ-ეკონომიკურ პირობებს შეუქმნის ჩვენი ქვეყნის მშრომელთა ცხოვრებას. საბჭოთა კავშირის ახალი კონსტიტუცია, რომელსაც საყოველთაო სახალხო განხილვის შემდეგ მივიღებთ, პოლიტიკურ-სამართლებრივ ბაზას შეუქმნის განვითარებული სოციალისტური საზოგადოების დემოკრატიის შემდგომ სრულყოფას. გათვალისწინებულია, რომ საბჭოთა სახელმწიფოს ძირითად კანონში ჩამოყალიბებული იქნება სსრ კავშირის საგარეო პოლიტიკის ლენინური პრინციპები, ჩვენი თანამიმდევრული მშვიდობისმოყვარული კურსი. კონსტიტუციის შესაბამისი დებულებანი გაეხმიანება ახალ ხელსაყრელ ტენდენციებს, რომლებიც საერთაშორისო ურთიერთობაში ვითარდება.

და ბოლოს — საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის ურთიერთობის შესახებ. მისი მდგომარეობა, ჩვენი აზრით, საერთოდ კარგია. მაგრამ ჩვენ მეტს ვესწრაფვით და ვფიქრობთ, რომ ამ მეტის მისაღწევად რეზერვებიც გვაქვს და წინამძღოლებიც. ასევე ფიქრობს საფრანგეთის პრეზიდენტი ჟისკარ დ'ესტენიც, რომლის საუბარიც ამ კვირის დამდეგს მოვისმინეთ ჩვენი ტელევიზორების ეკრანებიდან.

ვიცით, რომ ჩვენი ქვეყნების კარგი ურთიერთობის შემდგომი განვითარების გეზს ფართოდ უჭერს მხარს ფრანგი ხალხი, რომლის მიმართაც საბჭოთა ადამიანები გულწრფელი მეგობრობის გრძნობით არიან გამსჭვალული. ჩვენს ხალხებს შორის მზარდ კონტაქტებს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებთ, რადგან ეს იმ დიდი ძვრების სიმტკიცისა და სიღრმის დადასტურებელოვან საწინდრად მიგვაჩნია, რაც საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის ურთიერთობაში მოხდა უკანასკნელი ათწლეულის მანძილზე.

მე ვაპირებ სამი კვირის შემდეგ პარიზში შევხვდე პრეზიდენტ ჟისკარ დ'ესტენს და საფრანგეთის სხვა სახელმწიფო და პოლიტიკურ მოღვაწეებს. ვიმედოვნებ, ეს შეხვედრა შესაძლებლობას მოგვცემს ახალი ნაბიჯი გადავდგათ საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის თანამშრომლობის, მშვიდობისა და საერთაშორისო დაძაბულობის შენელების გზაზე.

ჯანმრთელობას გისურვებთ, პატივცემულო ტელემაყურებლებო.

მეგობრული ვიზიტით

გულგარეთის სახალხო რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია მოსკოვში ჩამოვიდა

სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მოწვევით 30 მაისს მოსკოვში ოფიციალური მეგობრული ვიზიტით ჩამოვიდა ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის საბჭოს თავმჯდომარე სტანკო ტოდორი.

ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკისა და სსრ კავშირის სახელმწიფო ალმებით მორთულ აეროდრომზე ამხანაგებს ტოდორ ჟივკოვს, ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრს, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს სტანკო ტოდოროვს, პარტიისა და მთავრობის დელეგაციის სხვა წევრებს ველითადად, ძმურად შეესალმნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი კ. ვ. რუსაკოვი, სხვა ოფიციალური პირნი.

აეროდრომზე დელეგაციას გულთბილად და გულთბილად შეხვდნენ დედაქალაქის მშრომელთა წარმომადგენლები. საფრენ მოედანზე ჩამწკრივებულიყო სამი სახეობის შეიარაღებული ძალების საპატიო ყარაული. შესრულდა ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკისა და სსრ კავშირის სახელმწიფო ჰიმნები, ამხანაგებმა ლ. ი. ბრეჟნევმა და ტ. ჟივკოვმა ჩამოუარეს საბჭოთა მეომრების მწყრივს.

აეროდრომიდან ამხანაგები ტ. ჟივკოვი, ს. ტოდოროვი, ამხანაგებთან ლ. ი. ბრეჟნევთან, ა. ნ. კოსიგინთან ერთად, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის სხვა წევრები მოტორიზებულ სალიმუზინებით ქრემლისაკენ გაემართნენ.

ათეულათასობით მოსკოველი მხურვალედ მიესალმებოდა ამხანაგებს ლ. ი. ბრეჟნევსა და ტ. ჟივკოვს, საბჭოთა კავშირისა და ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სხვა ხელმძღვანელებს, გაისმოდა შეძახილები: გაუმარჯოს ორი ქვეყნის ხალხთა ურღვევ მეგობრობას, საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასა და ბულგარეთის კომუნისტურ პარტიას.

ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაციამ ამხანაგ ტ. ჟივკოვის მეთაურობით გვირგვინი მიიტანა ვ. ი. ლენინის მავზოლეუმში. გვირგვინით შეამკეს აგრეთვე კრემლის გალავანთან ოკრძალული უცნობი ჯარისკაცის საფლავი. დელეგაციამ გვირგვინი მიიტანა გიორგი დიმიტროვის ძეგლთან. (საკვანძო).

საბჭოთა კავშირ-ბულგარეთის მოლაპარაკება

30 მაისს კრემლში დაიწყო საბჭოთა კავშირ-ბულგარეთის მოლაპარაკება.

მოლაპარაკებას აწარმოებენ:

საბჭოთა კავშირის მხრივ — სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი კ. ვ. რუსაკოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ნ. კ. ბაიბაკოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის ელჩი ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკაში ვ. ნ. ბაზოვსკი;

ბულგარეთის მხრივ — ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ტ. ჟივკოვი, ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ს. ტოდოროვი, ბულგარეთის მიწათმოქმედთა სახალხო კავშირის მდივანი, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე პ. ტანჩევი, ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ტ. ალექსიევი, ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი პ. მლადენოვი, ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს წევრი, ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საგარეო პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობის განყოფილების გამგე დ. სტანიშევი, ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში დ. ჟივკოვი.

მხარეებმა ერთმანეთს გაუზიარეს აზრი სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობის აქტუალურ პრობლემებზე, ერთიერთს გააცნეს, თუ რაგარ სრულდება სკკპ XXV ყრილობისა და ბულგარეთის კომპარტიის XI ყრილობის გადაწყვეტილებანი, შეაჯამეს საბჭოთა კავშირ-ბულგარეთის ყოველმხრივი თანამშრომლობის შედეგები, დიდი ყურადღება დაუთმეს მის შემდგომ გაფართოებისა და გაღრმავებას ცხოვრების ყველა დარგში. ამასთანავე აგრეთვე საერთაშორისო მდგომარეობისა და მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის აქტუალურ საკითხებზე.

მოლაპარაკება შეხვედრებათა სრული ერთიანობის, გულითადობისა და ძმური მეგობრობის ვითარებაში მიმდინარეობს.

მოლაპარაკება გაგრძელდება. (საკვანძო).

სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მოწვევით 30 მაისს მოსკოვში ოფიციალური მეგობრული ვიზიტით ჩამოვიდა ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ამხანაგი ტოდორ ჟივკოვი. აშრამზე: აეროდრომზე შეხვედრის დროს.

სკკპ-სკძენ-ს ტელეფოტო.

გულითად, ძმურ ვითარებაში

ხალხის ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და საბჭოთა მთავრობამ 30 მაისს კრემლის დიდ სასახლეში საზეიმო გაუმართეს ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაციას, რომელსაც მეთაურობს ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ტ. ჟივკოვი.

საბჭოთა კავშირის მხრივ სადიდებელ სიტყვებს ამბანაგები ლ. ი. ბრეჟნევი, ვ. ვ. გრიშინი, ა. ა. გრომიკო, ა. პ. კირილენკო, ა. ნ. კოსიგინი, კ. ტ. მაზურეევი, ა. ი. პელშე, მ. ა. სუსლოვი, პ. ნ. დემიჩევი, ბ. ნ. პონომარიოვი, მ. ს. სოლომენცევი, ი. ვ. კაპიტონოვი, ვ. ი. დოლგიხი, კ. უ. ჩერნენკო, კ. ვ. რუსაკოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეთა მოადგილეები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პალატათა თავმჯდომარეები, მინისტრები, სხვა ოფიციალური პირნი.

სადილზე სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა.

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა

ძვირფასო ამხანაგო ჟივკოვ!

პატივცემულო ბულგარელო მეგობრებო!

მოხარული ვარ, რომ მომეცა შესაძლებლობა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საბჭოთა მთავრობის სახელით, ყველა საბჭოთა ადამიანის სახელით, მოგესალმოთ აქ, კრემლში, სოლითა და ყოლით გეუბნებით თქვენ — მომძმე ბულგარელი ხალხის წარმომადგენლებს — კეთილი იყოს თქვენი მობრძანება!

შესანიშნავად მახსოვს 1967 წლის მაისი, როცა მშვიერ სტუმართმოყვარულ სოფიაში ხელი მოვაწერეთ საბჭოთა კავშირ-ბულგარეთის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულებას. მას შემდეგ ათი წელი გავიდა. დღეს კმაყოფილებით შეგიძლია ვთქვათ: ხელშეკრულება კარგად მუშაობს, ჩვენი ქვეყნების დაახლოების პროცესი ძალიან ვითარდება, ჩვენი თანამშრომლობა სულ უფრო უხვ ნაყოფს იძლევა.

ორივე ჩვენი ქვეყანა სრული თანხმობითა და მჭიდრო ურთიერთმოქმედებით, მარქსიზმ-ლენინიზმის საერთო დროშით მიჰყვებიან წინ და სულ ახალ-ახალ წარმატებებს აღწევს.

უკანასკნელი ათწლეულის მანძილზე ბულგარეთის ხალხის მიღწევები ჩვენთვის ფრიად მნიშვნელოვანია. ამ წლებში ბულგარეთის კომუნისტური პარტია, მისი ცენტრალური კომიტეტი, რომელსაც ბულგარელი ხალხის ერთგული შვილი, საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწე, ჩვენი ძვირფასი მეგობარი და ამხანაგი ტოდორ ჟივკოვი მეთაურობს, დაადგენ განვითარებული სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის კურსს. ეკონომიკის ყველა სექტორის ზრდა, მეცნიერების, ტექნიკის, კულტურის პროგრესი, მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესება, სოციალისტური დემოკრატიის შემდგომი სრულყოფა — ასეთია ამ კურსის უმნიშვნელოვანესი შედეგები. ისინი მოწმობენ სახალხო ბულგარეთის ძლიერებას, კომუნისტთა პარტიის პოლიტიკის სისწორეს, რომელსაც აქტიურად უჭერს მხარს მასი ერთგული მეგობარი — ბულგარეთის მეზობელთა სახალხო კავშირი.

ამ წლების მანძილზე საბჭოთა კავშირმა სერიოზულად წაიწია წინ კომუნისტურ მშენებლობაში. მერვე და მეცხრე ხუთწლედებში ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალი თითქმის გაორკეცდა. კარგი რატომ მუშაობს სახალხო მეურნეობა. განუხრელად უმჯობესდება საბჭოთა ხალხის კეთილდღეობა და მაღლდება მისი კულტურისა და განათლების დონე. განუხრელად იზრდება ხალხის საზოგადოებრივი აქტიურობა, სულ უფრო მეტ შემოქმედებით ინიციატივას იჩენენ მშრომელები, რომლებსაც მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი ახალი შრომითი გამარჯვებებით შეხვდნენ დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავს. რა თქმა უნდა, გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია, მაგრამ სრული რწმენით შეგვიძლია ვთქვათ: პარტიის XXV ყრილობის მიერ დასახული ამოცანებს შევასრულებთ.

ლენინური გზით საბჭოთა ხალხის მიერ განვლილი ექვსი ათწლეულის შედეგები კონცენტრირებული ფორმით არის ასახული სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტში. მისი მიღება, ეთიოდ, ისტორიული ნიშანსვეტი იქნება ჩვენი სამშობლოს ცხოვრებაში და მნიშვნელოვანი საერთაშორისო მოვლენა გახდება.

ამხანაგებო! დღევანდელმა მოლაპარაკებამ ერთ ვიდაცა ფაქტორა დიდმნიშვნელოვანი შემოქმედებითი შეშმარიტება: ჩვენი ქვეყნების პოტენციალის ზრდასთან ერთად იზრდება საბჭოთა კავშირ-ბულგარეთის თანამშრომლობის გაღრმავების შესაძლებლობებიც. ეს თანაბრად ეხება პოლიტიკას, კულტურას, ეკონომიკას. ძალიან კარგია, რომ ჩვენ ვთანხმდებ ჩვენი ქვეყნების წარმოების სპეციალიზაციისა და კოოპერირების 1990 წლამდე პერიოდის გენერალური სქემის შემუშავება. ეკონომიკური ურთიერთობის ეს ფორმა ფრძელვადიანი დაგეგმვის ეს ჩვენი პირველი გამოცდილება უდავოდ დიდ საერთაშორისო მოვლენაა.

ჩვენ საბჭოთა კავშირისა და ბულგარეთის თანამშრომლობა მიკვლევნია იმ წამალიერად ძმური, ნამდვილად ინტერნაციონალისტური ურთიერთობის განუყოფელ ნაწილად, რომელიც მტკიცედ დამკვიდრდა სოციალისტური სახელმწიფოების დიად თანამეგობრობაში.

ეს ურთიერთობა ახლა, შეიძლება ითქვას, ცხოვრების ყველა დარგს მოიცავს. მაგრამ, თუმცა ეს დიდმნიშვნელოვანი მაჩვენებელია, მარტო მისი მოცულობის მასშტაბი კი არ არის საქმე; თვით ამ ურთიერთობის ხასიათი ისეთია, რომ მის მშენებლობაში აქტიურად მონაწილეობენ არა მარტო პარტიები, არა მარტო სახელმწიფო ორგანოები. არამედ უშუალოდ თვით მშრომელთა მასიბიც. მეგობრობის, ურთიერთის წარმატებებით ამხანაგური დაინტერესების წრფელი გრძნობები, ბედის ერთიანობის შეგრძნება, ურთიერთსიმპათია და პატივისცემა სულ უფრო ღრმად მკვიდრდება მილიონობით ადამიანის შეგრძნებაში. სწორედ ეს მატებს სოციალისტური ჩვენების დიდ ოჯახს სიმტკიცესა და ძლიერებას.

ჩვენი მოწინააღმდეგენი ტყუილად ნუ აპყოლიან ილუზიებს: სოციალისტური თანამეგობრობის ერთიანობა ფრეგეადა. ყოველივეს, რასაც დღემდე სჩადიოდნენ სოციალიზმის მტრები, რათა გაეთიშათ ჩვენი რიგები, არეულობა შეეტანათ ჩვენს მოქმედებაში, საწინააღმდეგო შედეგი მოჰქონდა. სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების ერთიანობა ამის შედეგად მხოლოდ უფრო მტკიცე ხდებოდა. ასე იქნება კვლავაც.

სოციალისტურმა ქვეყნებმა საერთაშორისო საქმეებში ურთიერთმოქმედების მაღალ დონეს მიაღწიეს. გაჩნდა თანამშრომლობის ახალი ფორმები, მუშაობას შეუდგა ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოების საგარეო საქმეთა მინისტრების კომიტეტი. ამ კომიტეტის პირველი სხდომის შედეგებმა კვლავ დადასტურა, რომ სოციალისტური ქვეყნები მტკიცედ ადგანან ევროპაში მშვიდობისა და უშიშროების დამკვიდრების გზას, რომელიც ჰელსინკის თათბირმა გაკვალა, გულდაჯერებით განაგრძობენ ამ ისტორიულ საქმეს. ბულგარადის შეხვედრამ, ჩვენი რწმენით, მომავლის ბიდი უნდა გადის, გაიფართოოს ევროპაში და საერთოდ მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცების ახალი ინიციატივების გამოჩენის შესაძლებლობანი.

მშვიდობის გზა არასდროს არ ყოფილა იოლი, და არც დღეს არის ადვილი. გულახდილად ვიტყვი: გვინდა, რომ დასავლეთის ზოგიერთი ქვეყნის ხელმძღვანელებს უფრო მეტად ეტყობოდეთ, რომ მზად არიან დაძაბულობის შენელების განმტკიცებისა და გაღრმავებისათვის და, როგორც მინიმუმი, იმ ნაბიჯებზე ეფრის თქმისათვის, რომლებიც ახალ სიძნელეებსა და პრობლემებს წამოჭრიდა.

მაგრამ რა გვიჩვენა, მაგალითად, ნატოს სამეჯის ამასწინანდელმა სესიამ? რა მიზანს ისახავს მისი გადაწყვეტილებები? ალბეთ თავ ბოჰმ მთელი სესია იმას მიეძღვნა, რომ ნატოს ლიდერები ბეჭდავენ სამხედრო მიზნით გამოსაყოფ ასიგნებათა ახალ გადიდებებზე, მოითხოვდნენ ბლოკის შეტევითი პოტენციალის განმტკიცებას, მოუწოდებდნენ გამალებულ შეიარაღებას. ასეთ ფონზე ეს გაამართლონ აბსოლუტურად ცრუ, საზოგადოების მიკუდუნებელი შეფასებებით, რომლებსაც ალბეთ ეძლევენ საბჭოთა კავშირისა და ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სხვა ქვეყნების პოლიტიკას.

ანდა ავიღოთ დასავლეთ ბერლინის საკითხი. თითქოს ცნობილი ოთხმხრივი შეთანხმებით უნდა შეიქმნილიყო პირობები, რათა ამ პრობლემას დაეკარგა თავისი სიმწვავე. მაგრამ ვერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის გარკვეული წრეები ისევ და ისევ ცდილობენ დე-ფაქტოდ შეასწორონ შეთანხმება, თავიანთ სასარგებლოდ და ამწვავებენ ვითარებას ევროპის ირგვლივ. ჩვენ კი ვვინდა, რომ დასავლეთი ბერლინი ნამდვილად ბაზდეს დაძაბულობის შენელების ასპარეზიც და მისი აქტიური მონაწილეც. ეს სარგებლობას მოუტანდა დასავლეთ ბერლინის მოსახლეობასაც და სოციალისტურ ქვეყნებთან გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ურთიერთობასაც, მაშასადამე — ევროპის მშვიდობის განმტკიცებასაც.

სამწუხაროდ, დასავლეთის ხელმძღვანელთა პოლიტიკაში შეიმჩნევა, რომ არ სურთ ანგარიში გაუწიონ რეალობებს, ხშირად უბრუნდებიან „ცივი ომის" პერიოდიდან შემორჩენილ წარმოდგენებს. ალბეთ აქვთ გამალებული შეიარაღების გეგმა. დიდი ხანია დადგა დრო, რომ მოვიშოროთ ეს ტვირთი. მაშინ დაძაბულობის შენელების საქმე უფრო სწრაფად დაწინაურდებოდა.

მოკლედ მოგახსენებთ ჩინეთის შესახებ. ჩვენ გვინდოდა ნორმალური კეთილმეზობლური ურთიერთობა გვქონოდა ამ ქვეყანასთან, ეს წინათაც გვითქვამს და ახლაც ვიმეორებთ. მაგრამ ნებისმიერ ხელშეწყობოთა ურთიერთობას ორი მხარე აშენებს ხოლმე.

ჩინეთის ახლა რთული პერიოდი დაუდგა. ალბათ, ისეც ერთგვარ გაელენას ახდენს ჩინეთის ხელმძღვანელობის ახლანდელ პოზიციაზე. მაგრამ ჩვენ სულაც არ ვაპირებთ შევეხოთ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საშინაო მდგომარეობებს. ეს უწინარეს ყოვლისა თვით ჩინელ ხალხს ეხება. სხვა საქმეა, რაც ეხება ჩინეთში და მის ფარგლებს გარეთ არიან ძალები, რომლებიც ისწრაფვიან ჩინეთში მოაქციონ და კიდევ უფრო დაძაბონ საბჭოთა კავშირ-ჩინეთის ურთიერთობა. და ეს სწორედ ის ძალები არიან, რომლებიც საერთაშორისო დაძაბულობის გაღვივებაში პოლიტიკურ გამორჩენას ეძებენ. მათ საშინი, ავანტიურისტული გეგმები აქვთ, რომელთა წინააღმდეგ ჩვენ უნდა ვიბრძოლოთ და ვიბრძოლებთ კიდეც ამასთანავე, ვვინდა პეკინშიც მიხედნენ, რაოდენ უმადური და უპერსპექტივო საქმეა ეწინააღმდეგებოდე ხალხის მისწრაფებებს, ილაშქრებდე საერთაშორისო ურთიერთობაში ყოველივე კარგისა და ჯანსაღის წინააღმდეგ.

აქ არ ვაპირებ შევეხო ჩვენი საგარეო-პოლიტიკური საქმიანობის ყველა მხარეს. უკანასკნელ ხანს ჩვენ ამ საქმიანობაზე საკმაოდ ვრცელდ ვილაპარაკეთ.

ბაზგასმით მინდა აღვნიშნო: ჩვენ დიდად ვგიჯარბებს, რომ ყველა ჩვენს საერთაშორისო საქმეში ეგრძნობთ ბულგარელი მეგობრების ენერგიულ მხარდაჭერას. საბჭოთა ადამიანები დიდად აფასებენ ბულგარეთის აქტიურ როლს ევროპისა და მთელი მსოფლიოს მშვიდობის განმტკიცების საქმეში. ჩვენ სრული გიგებით ვეკიდებით მის თანამიმდევრულ მეცადინეობას, რომელიც მიზნად ისახავს გადაიქცეოს ბალკანეთის ნახევარკუნძული როგორც იქ მდებარე, ისე მეზობელი ყველა სახელმწიფოს თანასწორუფლებიანი თანამშრომლობის რაიონად.

ამხანაგებო! ჩემი გამოსვლის დასასრულს მინდა გამოვთქვა რწმენა, რომ ბულგარეთის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის ვიზიტი საბჭოთა კავშირში, იმ მოლაპარაკების შედეგები, რომელსაც ჩვენ ვაწარმოებთ, ჩვენ ერთმანეთს ეყოფა ბულგარეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობაზე, რომ ბრძანეთ:

ბიდიეთი ჩვენი მადლობა იმ უდიდესი ყურადღებისათვის, გულია სტუმართმასპინძ ლობისა და სულიერი სითბოსათვის, რომლებსაც ყოველ ფეხის ნაბიჯზე ეგრძნობთ იქ წუთიდან, რა წუთსაც ფრიად შეეხსენთქით ფოსკოვის პაერი.

ჩვენ, ბულგარელი კომუნისტებისა და ბულგარელი ხალხის წარმომგზავნილნი, მოსკოვში ყოველივის ჩამოვდივართ როგორც ძმები-ძმებთან. მაგრამ ამგვარად განსაკუთრებით გვახარებს, რომ ჩვენი ვიზიტი მიმდინარეობს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის სახელოვანი იუბილეს წინ, როცა ვაკმაყოფილ იმ ეპოქა ათწლეულს საერთო შედეგს, რომელიც გვაშორებს და ამავე დროს გვაკავშირებს 1917 წლის ოქტომბრის ეპოქალურ დღეებთან და საქმესთან;

გვახარებს, რომ რუსეთის მაღალიერი ჩვენი ხალხი აქედანვე ემზადება ხუთსაუკუნოვანი პატონობისაგან ბულგარეთის ეროვნული განთავისუფლებისათვის ომთან დაკავშირებული მოვლენებისათვის, რომლის გამარჯვების მე-100 წლისთავსაც ალენიშნავთ მომავალი წლის მარტში;

მოხარული ვართ, რომ თქვენთან ერთად, ჩვენს საბჭოთა ძმებთან და ორგზის განმათავისუფლებლებთან ერთად ვიქნებით იმ დღეებში, როცა გამოქვეყნდება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ახალი კონსტიტუციის მასშტაბური და ამაღელვებელი პროექტი, რომელიც კიდევ უფრო ამაღლებს საბჭოთა ხალხის ბედნიერებით გითანრდებოდეს. [illegible] მაშინ, თუ ახორციელებ [illegible] სოციალისტურ ქვეყნებთან და უწინარეს ყოვლისა ძმური სოციალისტური თანამეგობრობის ბასტიონთან და ბირთვთან — დიად საბჭოეთთან დაახლოებისა და თანამიმდევრული ინტეგრაციის კურსს.

ჩვენი პარტიების, ქვეყნებისა და ხალხების ყოველმხრივი თანამშრომლობა და დაახლოება რეალური წვლილია სოციალისტური ეკონომიკური ინტეგრაციის კომპლექსური პროგრამის ფორმატებით შესრულებაში, ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა პოლიტიკური და სამხედრო კავშირის შემდგომ განმტკიცებაში, სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების ინტერნაციონალურ ერთიანობაში, საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის შეკავშირებაში მარქსიზმ-ლენინიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის საფუძველზე.

ძვირფასო ამხანაგებო!

ლენინური ზავის დეკრეტის მიღებიდან სკკპ XXIV და XXV ყრილობების მშვიდობის პროგრამის მიღებამდე სამოცი წელი გავიდა. ეს, ისევ სამოცი წელია ალბანეტის ყველა კუთხის ხალხებს საბჭოთა კავშირი ეგულებათ თავიანთ საუკეთესო მეგობრად და ქომაგად, საერთაშორისო უშიშროების ულტიმატ მებრძოლად. საბჭოთა კავშირის ინტერნაციონალური კომბატანტური ურთიერთობა, ეს ჩვენ ბულგარეთ-საბჭოთა

მსოფლიოს ამბები

ტელეტაიპი გადმოგვცემს

სოციალიზმის ქვეყნებში

იუგოსლავია

გიგანტი დუნაიზე

ბელგრადი. ჰიდროელექტროსადგური „ჯერდაპი“ დუნაიზე თავის ხუთი წლისთავს აღნიშნავს. ერთი მილიონი კილოვატი სიმძლავრის სადგური ქვეყნის ენერგეტიკულ სისტემაში ნართეს 1972 წლის მაისში. იუგოსლავიის ამ უდიდესი ჰიდროელექტროსადგურის კოლექტივი, რომელიც საბჭოთა კავშირის ტექნიკური ხელშეწყობით აშენდა, წლითწლობით გადაჭარბებით ასრულებს საგეგმო დავალებებს. ხუთი წლის განმავლობაში „ჯერდაპის“ ეიესმა აერეგატმა გამომუშავა თითქმის ორეული ელექტროენერგია, რამდენსაც ყოველწლიურად აწარმოებს ქვეყნის ყველა ელექტროსადგური. წელს იწყება „ჯერდაპის“ მეორე რიგის მშენებლობა. ახალი ჰიდროენერგეტიკული კომპლექსი ყოველწლიურად გამომუშავებს 1,3 მილიარდ კილოვატ-საათ ელექტროენერგიას.

ბულგარეთი



სოფიის მახლობლად საბჭოთა კავშირის ტექნიკური დახმარებით შენდება კოსმოსური კავშირგაბმულობის სახმელეთო სადგური. ამ უდიდესი ობიექტის ამუშავებით ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკა საერთაშორისო სისტემაში და შეხალლებელი გახდება ამ საერთაშორისო ორგანიზაციის მონაწილე ქვეყნებთან რადიო და ტელეპროგრამების ურთიერთგაცვლა.

ხურათზე: მშენებარე კოსმოსური კავშირგაბმულობის სახმელეთო სადგურის 56-ტონიანი ანტენა.

ბგთა-საკადესის ფოტო.

გდრ საკვიკვიტო ბარათი — კომპიუტერი

ბერლინი. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წამყვანი სწარმო, რომელიც დასპეციალიზებულია ელექტრონული ტექნიკის გაშვებაზე, დრეზდენის კომბინატი „რობოტრონია“!

ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების ელექტრონულ-გამოსათვლელი მანქანის ერთიანი სისტემის ფარგლებში კომბინატი სპეციალიზდება მონაცემების ელექტრონული დამუშავების სისტემის წარმოებაზე, რომელიც საშუალებას იძლევა წამში მილიარდი ოპერაცია განხორციელონ. ეს მძლავრი მანქანა დაკომპლექტებულია მოწყობილობით, რომელსაც სსრ კავშირში, პოლონეთში, ბულგარეთში, უნგრეთსა და ჩეხოსლოვაკიაში უშვებენ. 50-ზე მეტი ასეთი ურთულესი ელექტრონულ-გამოსათვლელი მანქანა უკვე მიაწოდეს საბჭოთა კავშირს, 30 მანქანა მუშაობს ჩეხოსლოვაკიაში.

ამჟამად „რობოტრონის“ კოლეგიტიკი დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავის აღსანიშნავ შრომის ვახტზე დგანან.

პოლონეთი

აკადემიის იუბილე

ვარშავა, თებერვალი 25 წლისთავს აღნიშნავს ამ დღეებში პოლონეთის მეცნიერებათა აკადემია.

ამჟამად პოლონეთის მეცნიერებათა აკადემიის განკარგულებაშია მძლავრი სამეცნიერო-კვლევითი ბაზა. მის შემადგენლობაშია 100-მდე სპეციალისტი ინსტიტუტი და კომიტეტი, რომელშიც მუშაობს 4 ათასზე მეტი მეცნიერი და სპეციალისტი — მეცნიერების სხვადასხვა დარგის წარმომადგენელი.

პოლონეთის სამეცნიერო დაწესებულებანი საბჭოთა სამეცნიერო ცენტრებთან მჭიდრო კონტაქტით მუშაობენ. 245 საბჭოთა და 150 პოლონეთის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი და უმაღლესი სასწავლებელი ერთობლივად მუშაობენ 400 თემაზე.

სახელოვანი წლისთავის შესახვედრად

ბუქარესტი, (საკადესი). აქ გამოქვეყნდა რუმინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს დადგენილება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავთან დაკავშირებით. დადგენილებაში ნათქვამია, რომ ოქტომბრის რევოლუცია, რომელიც დასაბამი მისცა მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს შექმნას, ამავე დროს შემობრუნების პუნქტი იყო მსოფლიო ისტორიაში, მან დაიწყო პროლეტარული რევოლუციების, კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე კაცობრიობის გადასვლის ეპოქა.

ექვსი ათწლეულის მანძილზე, აღნიშნულია დადგენილებაში, საბჭოთა კავშირის ხალხები კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით გამარჯვებული გამოვიდნენ ძველი განსაცდელიდან, შესანიშნავი წარმატებანი მოიპოვეს ეკონომიკის, კულტურის, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებაში, ხალხის ცხოვრების გაუმჯობესებაში, საბჭოთა კავშირი გადააქციეს დიად სოციალისტურ სახელმწიფოდ, რომელიც განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვან როლს ასრულებს საერთაშორისო საქმეებში.

რუმინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს დადგენილება

□

შემდეგ დადგენილებაში ნათქვამია, რომ რუმინეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრული ურთიერთობა, რომელიც ანტიჰიტლერული ომის ფრონტებზე ერთად დაღვრილი საბჭოთა და რუმინელი მეომრების სისხლით არის შედუღაბებული, რუმინეთის რევოლუციისა და სოციალისტური შენებლობის პირობებში უმაღლეს საფეხურზე ავიდა. ეს ურთიერთობა შეერმეტყველურად ვლინდება მრავალფეროვანი თანამშრომლობის გაფართოებით და ერთმანეთის პატივისცემის საფუძველზე სოციალიზმისა და კომუნიზმის შენებლობის გამოცდილების გაზიარებით, რუმინეთისა და სსრ კავშირის, რუმინეთის კომპარტიისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, რუმინელი და საბჭოთა ხალხების ურთიერთობის განვითარებაზე განმსაზღვრელ გავლენას ახდენს ამხანაგების ნ. ჩაუშესკუსა და ლ. ი. ბრეჟნევის შეხვედრები და მოლაპარაკებანი. ერთობლივმა განცხადებამ, რომელსაც ბუქარესტში მოაწერეს ხელი რუმინეთისა და სსრ კავშირის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულების შესაბამისად, ახალი მძლავრი იმპულსი მისცა ჩვენი პარტიების, ქვეყნებისა და ხალხების თანამშრომლობას, ეკონომიკური, პოლიტიკური, მეცნიერულ-ტექნიკური და კულტურული თანამშრომლობის განმტკიცებას ორივე ქვეყნის ხალხების, სოციალიზმისა და მთელი მსოფლიოს მშვიდობის საქმის საკეთილდღეოდ.

რუმინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის აღმასკომმა დაადგინა ფართოდ აღნიშნონ ქვეყანაში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავი.

საბჭოთა სახელმწიფოს მე-60 წლისთავის ზეიმი, ნათქვამია ბოლოს დადგენილებაში, ჩვენს ქვეყანაში ახალი ნაბიჯი იქნება რუმინელი და საბჭოთა ხალხების, სოციალისტური რუმინეთისა და საბჭოთა კავშირის, რუმინეთის კომპარტიისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მეგობრობისა და თანამშრომლობის განვითარების გზაზე.

ი. ფაჰმის განცხადება

კაირო, (საკადესი). ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა ი. ფაჰმიმ ეგვიპტის პრესასთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა: ეგვიპტე ესწრაფვის, რომ მისი ურთიერთობა სსრ კავშირთან „კარგი და ჩვეულებრივი“ იყოს. ჩვენს ურთიერთობას საბჭოთა კავშირთან — თქვა მან, — საფუძვლად უნდა ედოს ურთიერთპატივისცემა, ორივე სახელმწიფოს უნდა ესმოდეს, თუ რა პასუხისმგებლობა აკისრია თვითეულს.

შეეხო რა ახლო აღმოსავლეთის მდგომარეობის მოწესრიგებაში სსრ კავშირის როლს, მინისტრმა თქვა: „საერთაშორისო დაძაბულობის შენელების მოთხოვნების შესაბამად, რომელიც საბჭოთა კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის ბრეჟნევ-ფორდის შეხვედრებზე ყველა საკითხზე, განსაკუთრებით ომისა და მშვიდობის საკითხებზე, ამიტომ საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების დასწრება ახლო აღმოსავლეთში მოწესრიგების დროს აუცილებელია.

ალაპარაკა რა პალესტინის საკითხზე ამერიკის შეერთებული შტატების პოზიციაზე, ი. ფაჰმიმ აღნიშნა, რომ „ამერიკა „ორეროფულ და ორაზროვან პოზიციას ადგას“.

მომდინარე წლის შუამოდგომაზე ჟენევის კონფერენციის მოწვევის თაობაზე მინისტრმა თქვა, რომ ეგვიპტეს „ურჩევნია ჟენევის კონფერენცია მოიწვიონ გათვალისწინებულ ვადაზე გაცილებით ადრე.

ბრეჟნევ-ფორდ-ბრეჟნევ

პასუხი არ აღირსებ

ნიუ-იორკი, (საკადესი). აქ წაიკითხეს წერილი, რომელიც ჩილეს საზღვარგარეთა სახალხო ერთიანობის პარტიების აღმასრულებელმა მდივანმა, სახალხო ერთიანობის მთავრობის საგარეო მინისტრმა კ. ალმეიდამ გაუგზავნა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს ჯ. კარტერს. ამ წერილზე, რომელიც 29 აპრილით არის დათარიღებული კ. ალმეიდას დღემდე არ აღირსებ პასუხი.

კ. ალმეიდა ამერიკის მონოპოლიებს, ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოსა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას ბრალს დებს, რომ მათ 1973 წლის სექტემბერში პროვოკაციულად გამოიწვიეს ჩილეში სისხლიანი გადატრიალება, მერე კი ფართო და მრავალმხრივ მბარდაჭერას უწევენ ძალაუფლების სათავეში უკანონოდ ჩამოგდებულ მხედრიოს. უკანასკნელ ხანს, ნათქვამია წერილში, პინოჩეტის რეჟიმმა ამერიკის შეერთებული შტატებიდან ორ მილიარდ დოლარზე მეტი მიიღო კრედიტის, უსასყიდლო დახმარებისა და კაპიტალური დაბანდების სახით.

ტრაგედიამ, რომელიც თავს დაატყდა ჩილელ ხალხს, წერს კ. ალმეიდა, 30 ათასი კაცი შეიწირა. ორი ათას ხუთასზე მეტი პატიმარი უგზო-უკვლოდ გაქრა. ათასობით ჩილელი საპატიმროებსა და საკონცენტრაციო ბანაკებში შეყარეს, გაძევეს შშობლიური ქვეყნიდან. ავტორი პრეზიდენტს აფრთხილებს: შეერთებული შტატები სერიოზულ პასუხისმგებლობას იკისრებს, თუ გადაწყვეტს კვლავაც გაუწიოს დახმარება განწირულ ფაშისტურ დიქტატურას. წერილის დასასრულს კ. ალმეიდა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ჩილელი ხალხი ყველაფრისდა მიუხედავად გაგრძელებს ბრძოლას ტირანიის წინააღმდეგ, სანამ მიაღწევდეს ჭეშმარიტი დამოუკიდებლობის, დემოკრატიისა და თავისუფლების აღდგენას.

ჩილეს ხუნტა—საამრცხვინო ბოძზე

ხელყოფენ კადამიანის უფლებებს

სამ წელიწადზე მეტი გავიდა ჩილეში სისხლიანი გადატრიალების დღიდან, მაგრამ იქ კვლავ ხალყო წესებია, გრძელდება ადამიანის უფლებათა და დემოკრატიული თავისუფლებების ხელყოფა, ბოლო არ უჩანს მასობრივ დაპატიმრებებსა და წამებას, გაბშირდა პატრიოტთა „უგზოუკვლოდ დაკარგვის“ შემთხვევები. ხამხედრო-ფაშისტური ხუნტის მხსვერპლი გახდა ათასობით ჩილელი. სანტიაგოსა და ქვეყნის სხვა ქალაქებში შექმნილია ხაიდუმლო „ცენტრები“, სადაც ადამიანებს უმოწყალოდ აწამებენ.

სურათებზე: ამ მოფაშისტო დამსჯელებზე ამუარებს იმედს პინოჩეტის რეჟიმი, რომელმაც ქვეყანა ხაკონცენტრაციო ბანაკებისა და ხაპყრობილეების ფართო ქსელით დაფარა.

ხაკადესის ფოტო.

ამერიკელ ჟურნალისტთა ბანკეტი



რევანშისტების თარეში

ვენა, (საკადესი). ნეიტრალური ავსტრიის დედაქალაქი ამ დღეებში რევანშისტთა განკარგულებაშია: აქ გერმანიის ფეოდერალიური რესპუბლიკიდან და სხვა ქვეყნებიდან ჩამოვიდა სუდეტელ გერმანელთა სათვისტომოს 100 ათასზე მეტი წევრი. მისი მოთავენი აშკარად მოითხოვენ ევროპის ომოსშემდგომი რუკის გადაკეთებას და ცივის სწამებენ დაძაბულობის შენელების პოლიტიკას.

მრავალი პროტესტის, აგრეთვე ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის საპროტესტო ნოტის მიუხედავად ავსტრიის მთავრობამ რევანშისტული თავყრილობის ჩატარების ნებართვა. თავყრილობა გაიხსნა ქალაქის უდიდეს დარბაზში „ვინერშტადტალეში“. საფთვისტომოს წინამძღოლმა, ყოფილმა ნაცისტმა ფოლტერ ბეერმანმა [illegible] „ბრძოლა ჩვენია“, „კარლოვი ვარი ჩვენია“, „მიუნხენის 1938 წლის შეთანხმება სწორი იყო“. ვ. ბეერმანი ცილისმწამებლურ განცხადებებს მიმართავს სსრ კავშირის მშვიდობისმოყვარული პოლიტიკის წინააღმდეგ.

ავსტრიის პროგრესული საზოგადოებრიობა აღშფოთებულია „სუდეტელთა“ თავხედური ბოზობით, ამ რევანშისტული თავყრილობის პროვოკაციული ხასიათი აშკარაა, წერს გაზეთი „ფოლკსშტიმმი“. იგი ეწინააღმდეგება სრულიად ევროპის თანმიმდევრის საბოლოო აქტის დებულებას და ზიანს აყენებს ავსტრიის საერთაშორისო ავტორიტეტს.

მტკიცება უარყვეს

პარიზი. (საკადესი). ლონდონის გაზეთმა „სანდი ტაიმსმ“, რომელიც ხშირად ბეჭდავს ხოლმე ათასგვარ ჭორს, ზოგჯერ კი მართლაც რომ მონაჩმახ ცნობებს, კვლავ შეირცხვინა თავი.

ეს გაზეთი, რომელიც აქვეყნებდა საიაქარაოზე გამოტანილ ცნობებს ანგოლაზე შეიარაღებული თავდასხმის გეგმების შესახებ („ოდესა სახელმწიფოდან „კობრა-77“), კიბრძოდ, ამტკიცებდა, რომ თავდასხმის სამზადისში საფრანგეთიც მონაწილეობსო.

საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ კატეგორიულად უარყო „სანდი ტაიმსის“ მტკიცება, თითქოს საფრანგეთი ანგოლის სახალხო რესპუბლიკის საწინააღმდეგო აგრესიულ გეგმებში მონაწილეობდეს. როგორც ფრანს პრესის სააგენტო იუწყება, საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში განაცხადეს, რომ „ეს „ინ ფურნალისტის მონაყორია, რომელიც ერთფეროვან დასვენების დღეებში სენსაციას ეძებს“.

ბელგიელ ჟურნალისტთა ბანკეტი



ბელგიელ ჟურნალისტთა ბანკეტი



საკადესი

ყოველი ესტრიდან

ხელი მოაწერეს შეთანხმებას

● ტოკიო. აქ ხელი მოაწერეს სსრ კავშირისა და იაპონიის შეთანხმებას 1976-80 წლების პერიოდში იაპონელბრუნვისა და გადასახადელების შესახებ. შეთანხმებას ხელი მოაწერეს სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის მინისტრმა ნ. ს. პატოლიჩევმა და იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ი. ხატოიამამ. ამავე დროს გაცვალეს წერილები საბჭოთა კავშირის შორეული აღმოსავლეთის რაიონებსა და იაპონიას შორის სანაპირო ვაჭრობის განვითარების შესახებ ამავე წლებში.

ინდიელთა ხვედრი

● ვაშინგტონი. ხილატაკე, ავადმყოფობანი, მალალი სიკვდილიანობა — ასეთია ამერიკის მკვიდრ მცხოვრებთა — ინდიელთა ხვედრი, რომლებიც უკვე დიდი ხანია უცხონი გახდნენ საკუთარ ქვეყანაში. ფედერალურ ხელისუფალთა პოლიტიკა ინდიელთა მიმართ — „ეს არის შეუსრულებელი დაპირებები“, აღნიშნავს თავის მოხსენებაში „კანონების დარგში გამოკვლევათა ცენტრი“, რომელსაც ცნობილი იურისტი რ. ნეიდერი შეთაურობს. მოხსენების ავტორები წერენ, რომ ინდიელთა ოჯახების 60 პროცენტზე მეტს არა აქვს ელემენტარული პირობები, 40 პროცენტზე მეტი იძულებულია მკიდრად დასახლებულ შენობებში შეიფაროს თავი.

მზადება კონფერენციისათვის

● კაირო. ხუროფი ტემპით მიმდინარეობს მზადება სამხრეთ აფრიკაში აპარტეიდის, რასიზმისა და კოლონიალიზმის ხაწინააღმდეგო მსოფლიო კონფერენციისათვის, რომელიც 1977 წლის 16-19 ივნისს გაიმართება ლუსაკაში.

კონფერენციის მიზანია გააქტიუროს ზიმბაბვეს, ნამიბიისა და სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ხალხების მბარდაჭერა, რომლებიც ემირულ ბრძოლას ეწევიან რასიზმისა და კოლონიალიზმის წინააღმდეგ, მიაღწიოს პრეტორიისა და ხოლსბერის რეჟიმების კიდევ უფრო მეტ ხაერთაშორისო იზოლაციას.

ჩვენი კომენტარი

რა მოხდა კაბინდაში

მაისის პირველ რიცხვებში ანგოლის სახალხო რესპუბლიკის ჩუთენტ ტერიტორიაზე — კაბინდაში მონოპოლისტთა მეერ დაქირავებული ძალები შეეცადნენ ადგილობრივი მნიშვნელობის სახელმწიფო გადატრიალება მოეწყოთ და წინასწარ კაბინდის ტერიტორია „დამოუკიდებელ“ სახელმწიფოდ გამოაცხადეს. ასე გასინჯეთ, კაბინდის მთავრობა და მისი მეთაურიც კი ჰყავდათ შერჩეული. მთელი ეს გეგმა დაზუსტდა და დამტკიცდა პარიზსა და ლონდონში.

კაბინდის ტერიტორია თავისი გეოგრაფიული მდებარეობით განსაკუთრებულ როლს ასრულებს ზაირის რესპუბლიკისა და ანგოლის სახალხო რესპუბლიკისათვის. საკმარისია აღინიშნოს, რომ კაბინდა ფაქტიურად ზაირის რესპუბლიკის „გასასვლელია“.

კაბინდის ტერიტორია 7.600 კვ. კილომეტრია და იგი მდ. კონგოს შესართავთან, ატლანტის ოკეანის სანაპიროზე მდებარეობს. რამდენადაც კაბინდა ანგოლის რესპუბლიკისაგან გამოყოფილია მდ. კონგოთი, ამიტომ მას განსაკუთრებული ოლქის სტატუსი აქვს (მოსახლეობის რაოდენობა 30 ათასი კაცი).

საქმე ის არის, რომ კაბინდის ტერიტორია სოლივით არის შეჭრილი ზაირსა და ანგოლას შუა, რაც განაპირობებს მის განსაკუთრებულ სტრატეგიულ მნიშვნელობას, გარდა ამისა კაბინდა მდიდარია ნავთობით, ამიტომ საფრანგეთის „კომპანი ფრანსეს დი პეტროლის“ და ამერიკის „გულფ ოილის“ კომპანიებმა დაქირავებული რაზმებით მოახდინეს კაბინდის ტერიტორიის ოკუპაცია, რათა იგი ჩამოშორებინათ ანგოლის სახალხო რესპუბლიკის ტერიტორიისაგან. მათ შექმნეს კიდეც ე. წ. „კაბინდის რესპუბლიკის“ პირველი დროებითი მთავრობა, მაგრამ ანგოლის განთავისუფლების სახალხო მოძრაობის არმიამ თავისი ტერიტორიიდან განდევნა დაქირავებულთა რაზმი. საღამოისოდ კაბინდის მთელი ტერიტორია ანგოლის სახალხო რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების კონტროლს იქვემდებარება.

ბრ. ზარიძე.

ამერიკელ ჟურნალისტთა ბანკეტი



ამერიკელ ჟურნალისტთა ბანკეტი



ამერიკელ ჟურნალისტთა ბანკეტი



საერთაშორისო შენიშვნები

ესპანეთი არჩევნების წინ

ფრანკიზმის სისხლიანი რეპრესიები, უკანონობა და თვითნებობა ძვირად დაუჯდა ესპანელ ხალხს. ათასობით კომენისტი და პროგრესულად მოაზროვნე ადამიანი დახვრიტეს. მრავალმა ათასმა ესპანელმა თავისი ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილი საპატიმროებსა და საკონცენტრაციო ბანაკებში დაჰყო. ესპანელ კომუნისტები გმირულად ებრძოდნენ ფრანკოს რეჟიმს. ფრანკოს რეჟიმი ურყევად იცავდნენ მუშათა კლასის, გლეხობის ყველა მშრომელთა საარსებო ინტერესებს.

ევროპათა ბრალსებიებმა და დაპატიმრებებმა ვერ შეაჩერა ესპანელი ხალხის ბრძოლა თავისუფლებისათვის, დემოკრატიისა და სამართლიანობისათვის.

ფრანკოს სიკვდილის შემდეგ ესპანეთში ბევრი რამ შეიცვალა. ხელისუფლებამ ბევრი ნაბიჯი გადადგა ეროვნული მოძრაობის პარტიის, რომელიც ბოლო დრომდე ერთადერთი ნებადართული პოლიტიკური ორგანიზაცია იყო ესპანეთში.

მიიღეს დეკრეტი ქვეყნის პროფკავშირების ლეგალიზაციის შესახებ. იგი უფლებას აძლევს მშრომელებს გაერთიანდნენ საბჭოსშეფო კონტროლისგან თავისუფალ პროფკავშირებში.

მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც ესპანეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში ამ ბოლო დროს მოხდა, ეს იყო ესპანეთის კომუნისტური პარტიის ლეგალიზაცია — ქვეყნის დემოკრატიული ძალების ფიდმნიშვნელოვანი გამარჯვება. ნიშანდობლივია ის ფაქტიც, რომ ესპანეთის კომპარტიის ლეგალიზაციის აუცილებლობას და პოზიტიურ ხასიათს თვით დასავლეთის ბურჟუაზიული პრესაც კი ვერ მალავს. მაგალითად, ინგლისური ბურჟუაზიული გაზეთის „გარდიანის“ აზრით, ესპანეთის მთავრობამ გადაწყვეტილება კომპარტიის ლეგალიზაციის შესახებ იმიტომ მიიღო, რომ ქვეყნის მრავალ პოლიტიკურ პარტიაში ფარეთად იყო გავრცელებული აზრი მომავალ არჩევნებში კომუნისტებისათვის თავიანთი კანდიდატების წამოყენების უფლების მინიჭების შესახებ.

ფრანგული ბურჟუაზიული გაზეთი „ფიგარო“ აღნიშნავს, რომ ესპანეთში კომპარტიის ლეგალიზაციამ ბოლო მოუღო ფრანკიზმის 40 წლის ბატონობას. გაზეთი დასძენს, რომ კომპარტიის ლეგალიზაცია მნიშვნელოვანი მოვლენაა ესპანეთის პოლიტიკური ცხოვრებაში, ვინაიდან ეს იგი ბაას უხსნის ესპანელ ხალხს განაგრძოს ბრძოლა ქვეყნის სრული დემოკრატიზაციისათვის.

ესპანეთის კომპარტიის ლეგალიზაცია დროულად მოხდა, ვინაიდან ბელი ქვეყნიში გაიმართება საპარლამენტო არჩევნები, რომელშიც თითქმის 22 მილიონი ესპანელი მიიღებს მონაწილეობას და 350 დეპუტატსა და 207 სენატორს აირჩევენ.

მთავრობის დეკრეტი არჩევნებისწინა კამპანიის ნორმებისა და თვით არჩევნების მოწყობის პროგრამის შესახებ ზღუდავს მემარცხენე ძალთა წარმომადგენლობას პარლამენტში, რაც მემარჯვენე ძალებს დეპუტატთა მეტი წილი მანდატების მიღების შესაძლებლობას მისცემს.

მთავრობის გადაწყვეტილებით არჩევნებში მონაწილეობა მოქალაქეებს შეეძლოთ მხოლოდ 21 წლის ასაკიდან, რაც ნიშნავს იმას, რომ 2,5 მილიონი პროგრესულად მოაზროვნე ახალგაზრდა ვერ მიიღებს არჩევნებში მონაწილეობას, რასაც შეეძლო გარკვეული გავლენა მოეხდინა არჩევნების შედეგებზე;

ამის გარდა არიან ესპანეთში არჩევნების ანაბიეტრტრად გამართვის საშიშროებაც. ქვეყნის ბევრმა პოლიტიკურმა პარტიამ გაბაედა, რომ არ მიიღებს არჩევნებში მონაწილეობას, თუ მთავრობამ მიერ დაცული არ იქნება საარჩევნო წესები.

საქმე ის არის, რომ ესპანეთის 9 ათასი მერიდან — 8.655 ფრანკოს მიერ შექმნილი პარტიის ეროვნული მოძრაობის წევრია, რომლებიც კონტროლს უწევენ თავიანთ ქალაქებში პოლიტიკურ და იდმინისტრაციულ ორგანოებს (მათ ხელშია ქვეყნის 40 გაზეთი და 45 რადიოსადგური).

არჩევნებში გამარჯვების ყველაზე მეტი შანსი აქვს, სამწუხაროდ, ეროვნულ „ეროვნული მოძრაობის“ პარტიას, რომელსაც არჩევნების ფალსიფიცირების შესაძლებლობა აქვს.

ესპანეთის რეაქციული ძალები ვერ ურიგდებიან სუარესის მთავრობის მიერ კომპარტიის ლეგალიზაციას და პრემიერ-მინისტრს ადოლფო სუარესს ქვეყნის ღალატს აბრალებენ. ფანი სუარესს ესპანელ ხალხს ადადგომას მოითხოვენ იმ საბაბით, თითქოს იგი დაკავშირებული იყოს კომუნისტებთან.

რასაკვირველია, სუარესს არაფერი აქვს საერთო კომუნისტებთან. პირიქით, როგორც ესპანეთის კომპარტიის ბენერალურმა მდივანმა სანტიაგო კარილომ განაცხადა, სუარესი ცბიერი და ჭკვიანი ანტიკომუნისტია, რომელიც კომუნისტური იდეების წინააღმდეგ პოლიტიკური ნიჭი (და არა პოლიტიკური) საწუალებებით ბრძოლას ამჯობინებს.

ბევრს ეგონა, რომ მთავრობის თავმჯდომარის პოსტზე სუარესის დანიშვნა უკან გადადგმული ნაბიჯს ნიშნავდა. იმ დროს ფრანგული გაზეთი „ფიგარო“ წერდა, მეფე ხუან კარლოსმა ნაცარო სუარესით რომ შეიცვალა, გუგული ჭორზე გადაცვალაო. ეს აზრი არ შეესაბამება სიმართლეს, ვინაიდან სუარესმა, ყოველ შემთხვევაში ჯერჯერობით, გარკვეული პოზიციური ცვლილებები მოახდინა ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. იგი დათანხმდა კომპარტიის ლეგალიზაციას იმ მიზნით, რათა ესპანეთი ხალხი დაერწმუნებინა მის მიერ განხორციელებული რეფორმების დემოკრატიულობაში. სუარესმა მოლაპარაკება დაიწყო ოპოზიციასთან, ვინაიდან მიხვდა, რომ ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტა შეუძლებელია დემოკრატიული ოპოზიციის გარეშე. სუარესს სურს როგორც დემოკრატიული, ისე ფრანკისტული ძალების ნეიტრალიზაცია და ამით, როგორც იტყვიან, არც მწვადი დაწვას და არც შამფური.

ესპანეთის მემარჯვენე და ულტრამემარჯვენე ძალებმა კომპარტიის ლეგალიზაციას კონტრშეტევით უპასუხეს. ამ ძალებს საკავშეში უდგას შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრი „სახალხო კავშირის“ ლიდერი მანუელ ფრაგი ირიბარნი, რომელმაც სუარესს მთავრობას ბრალად დასდო „სახელმწიფო გადატრიალება“.

მთავრობა შემადგენლობაში შემავალმა ორმა გენერალმა — ავიაციის მინისტრმა გარი

კომუნისტი
«თბილისის რკალი»
29.V.77

თასი — „განთიადს“

კომბინირებული ამანათრბენი „თბილისის რკალი“

- სტარტზეა 300-ზე მეტი მონაწილე
- პირველი ეტაპი მოიგო 17 წლის მარინე გაბოძეს
- გამარჯვებულის გედი... 16 წამმა გადაწყვიტა

29 მაისის 11 საათი. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილი „კომბინირებული ამანათრბენის „თბილისის რკალის“ მეხუთე ტრადიციული გათამაშების მონაწილეებმა დიდ, 16-კილომეტრიან ტრასაზე ბრძოლა დაიწყეს „ზაზეთ „კომუნისტის“ ტრადიციული პრიზის მოსაპოვებლად.

ამანათი მეორე ეტაპზე (450 მეტრი), სასტუმრო „საქართველოსთან“, პირველმა სპორტსაზოგადოება „ლოკომოტივის“ წევრმა, მეორეთანრიგოსანმა მძღეოსანმა, 17 წლის მარინე გაბოძემ მიიტანა, რისთვისაც სპეციალური ჯილდო დაიმსახურა.

...მეექვსე ეტაპზე (ტექნიკის სახლთან) წინ უკვე „ბურევესტნიკის“ გუნდი გავიდა, მაგრამ პავლოვის ქუჩაზე, ს. ორჯონიკიძის ძეგლთან ამანათი პირველებმა განთიადელებმა გადასცეს. მეათე, ყველაზე გრძელ ეტაპზე (3.200 მ) ვლადიმრბოლმა სპორტის ოსტატმა ა. ხახიაურმა („ბურევესტნიკი“) კვლავ შეძლო თავისი გუნდის წინ გაყვანა. აქედან მოყოლებული „ბურევესტნიკს“ უკვე აღარ დაუთმია ლიდერობა და თანდათან ზრდიდა უპირატესობას.

...ბოლოსწინა ეტაპზე მირბოდა ჩვენი რესპუბლიკის ერთ-ერთი საუკეთესო მძღეოსანი, 19 წლის სპორტის ოსტატი ტატიანა მიასოედოვა (იგი ფიზკულტურის ინსტიტუტის მესამე კურსის სტუდენტია). მან კიდევ უფრო გაზარდა დისტანცია მიმდევრებს შორის და ამანათი ბოლო ეტაპზე თანაგუნდელს — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საალრეცხვო-ეკონომიური ფაკულტეტის მეოთხე კურსის სტუდენტს, ოსტატობის კანდიდატს დავით მელაძეს გადასცა.

დანარჩენი, რომ იტყვიან, ტექნიკის საქმე იყო — დ. მელაძემ მრავალრიცხოვან მაყურებელთა დაშის გრიალში მკერდზე აიკრა ფინიშის ზონარი. ამრიგად, „ბურევესტნიკის“ პირველმა გუნდმა აჩვენა აბსოლუტურად საუკეთესო დრო — 30 წუთი და 57 წამი. ფინიშზე მეორე იყო „განთიადის“ პირველი ნაკრები — 31 წუთი და 42 წამი, მესამე — „დინამო“ (31 წუთი და 50 წამი). სამივე გუნდს შესაბამისი ხარისხის სიგელები გადაეცა. სამწუხაროდ, გაზეთ „კომუნისტის“ პრიზის პირველი მფლობელი დინამოელთა კოლექტივი ამჯერად მხოლოდ ერთი გუნდით გამოვიდა.

ძნელი ასპარეზობა, რომელიც ტრადიციულად თბილისის ფიზკულტურის კომიტეტმა ჩაატარა, სტარტიდან წასულმა თხუთმეტივე გუნდმა დაამთავრა. მისასალმებელია ის ფაქტიც, რომ კოლექტივების მეორე შემადგენლობებმა ტოლი არ დაუდეს თავიანთ პირველ გუნდებს. მათ შორის ერთ-ერთი საუკეთესო იყო „განთიადის“ მეორე გუნდი, რამაც განაპირობა ამ კოლექტივის გამარჯვება (ორი გუნდის ჯამში).

ამ შეჯიბრებაში თავი გამოიჩინეს ამანათრბენის დებიუტანტებმა — ქალაქის განათლების განყოფილების ნაკრებმა გუნდებმა, რომელთა შემადგენლობაში 16-17 წლის მოსწავლე სპორტსმენები გამოდიოდნენ.

ამრიგად, „განთიადის“ კოლექტივს (საერთო დრო — 1 საათი, 6 წუთი და 08 წამი) გადაეცა გაზეთ „კომუნისტის“ გარდამავალი თასი, პირველი ხარისხის სიგელი და ვიმპელი. მეორე ადგილზეა თასის წინა წლების მფლობელი „ბურევესტნიკი“ (1 საათი, 6 წუთი და 24 წამი), რომელსაც მეორე ხარისხის სიგელი და ვიმპელი გადაეცა, მესამეზე — „კოლმეურნე“ (1 საათი, 7 წუთი და 25 წამი). ეს კოლექტივი მესამე ხარისხის სიგელითა და ვიმპელით დაჯილდოდა.

მომდევნო ადგილებზე გამოვიდნენ „სპარტაკი“, თბილისის განათლების განყოფილება, „შრომითი რეზერვები“, „ლოკომოტივი“ და „დინამო“.

ო. ნოზაძე.



სურათებზე: (ზემოთ) საპატიო კვარცხლბეკზე დგანან გამარჯვებულნი — „განთიადის“ (ცენტრში), „ბურევესტნიკის“ (მარცხნივ) და „კოლმეურნის“ კოლექტივების წარმომადგენლები; ამანათრბენის სტარტი (ქვემოთ).

ვლ. ბინზბურგის ფოტო.

მადლობა

გაზეთ „კომუნისტის“ პრიზზე კომბინირებული ამანათრბენის ჩატარების საქმეში აქტიური მონაწილეობისათვის „კომუნისტის“ რედაქცია დადლობას უხდის თბილისის ფიზკულტურის კომიტეტის თავმჯდომარეს გ. ყირმელაშვილს, თავმჯდომარის მოადგილეს ო. კალაძეს, თბილისის სპორტკომიტეტის მთავარ მწვრთნელს მძღეოსნობაში ზ. ჯარაშნელს, შეჯიბრების მთავარ მსაჯს ელენე გოკიელს, მთავარი მსაჯის მოადგილეებს ო. ლაკერბაის, ვ. ვაშაკიძეს, ვლ. სუხოტინს, მთავარ მდივანს ნინო ტიშინას, მთავარი მდივნის მოადგილეს ტატიანა დროზდოვას, თბილისის ავტომობილეკლუბის უფროსს გ. ცინცაძეს, უფროსის მოადგილეს ბ. ჯანჯალიას, პოლკის უფროსის მოადგილეს თ. ნადირაძეს, უფროს ინსპექტორს ბ. ხაბურზანიას, გაერთიანებული სასუნელ ორკესტრის დირიჟორს ალ. ეელეტუხინს, სამედიცინო მომსახურების პერსონალს — კ. არობელიძეს, ვ. ქუთათელაძეს, მხატვარს ვლ. რუხეკაის, დიქტორს ჯ. ხუხაშვილს.

ტელევიზია

31 მაისი

პირველი პროგრამით

10.00 — ახალი ამბები (მოსკოვიდან), 10.10 — დილის ვარჯიში (ფერადი, მოსკოვიდან), 10.30 — ვ. ვასტანგოვის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სპექტაკლი „დაუმთავრებელი დიალოგი“ (ფერადი, მოსკოვიდან), 12.50 — დოკუმენტური ფილმი „მარად ახალგაზრდა“ 17.00 — უმაღლეს სასწავლებლებში შემსვლელთათვის — ქართული ენა, 17.30 — შეკისწავლოთ ინგლისური ენა, 18.20 — მოსწავლეთათვის — „ჯანმრთელობა და სუთიანი“, 19.00 — ფეხბურთი სსრ კავშირის პირველობაზე: „დინამო“ (თბილისი) — „შახტიორი“ (დონეცკი) ფერადი, 20.45 — „მომბმე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.15 — „მუსიკალური ფანტაზია (ფერადი), 21.50 — კინონარკვევი „მხატვრები“ (ფერადი), 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 22.35 — „მწვრალი და ცხოვრება“ — „რადგან ხალხს უნდა ლექსიც, მუსიკაც“.

მეორე პროგრამით

18.00 — მეათეკლასელთათვის — ფიზიკა, 19.00 — კინონარკვევი „თქვენი ბილეთი“, 19.20 — სტუდენტთათვის — თეორიული მექანიკა, 20.05 კონცერტი, 20.40 — განცხადებები, 20.45 — ქართული მხატვრული ფილმი „გზა მშვიდობისა, ჯაყო“.

1 ივნისი

06.35 — ქართული ხალხური სიმღერები, 07.30 — დილის კონცერტი, 08.00 — გაზეთ „პრავდის“ მიმოხილვა (მოსკოვიდან), 08.32 — ქაქარული მუსიკა, 09.25 — რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 09.45 — ა. ჩიმაკაძე — სიმღერები, 10.00 — ცენტრალური გაზეთების ფურცლებზე (მოსკოვიდან), 11.05 — ეკრანის მელოდიები 11.45— „პარტიული ცხოვრება“ საუბარი „კომუნისტები— საიუბილეო ვიზეზე“, 13.15 — ამინდის ბიუროს ცნობა, 13.30 — გაზეთ „პრავდის“ მოწინავე სტატია, 13.40 — კონცერტი ი. ტუსკიას ნაწარმოებებიდან, 14.00 — „ლიტერატურული კითხვა“, ლ. მრელაშვილი — „ყაბახი“. (გაგრძელება, 14.20 — რ. შუმანი — „ამერული ნაწარმოებები, 17.15— ქართული ხალხური მუსიკა, 17.40 — ყველაზე პატარებისთვის — ლაპარაკობს რადიოსადგური „ციციანთელა“, 18.10 — ა. ბალანჩივაძე — მესამე საფორტეპიანო კონცერტი, 18.45 — ესტონური სიმღერები, 19.00 — „ჩვენი ახალი ჩანაწერები“. 19.40 — მილიონთა ლენინური უნივერსიტეტი. საუბარი „ეკონომიური სტიმულირება და სამეურნეო ანგარიში“ (მოსკოვიდან), 20.30 — რადიოჟურნალი „თბილისი-ბაკო-ერევანი“ — ტრანსლაცია ერევნიდან, 21.00 — ძილისპიროული, 21.15 — ახალგაზრდებისათვის — „რიცა ახალგაზრდა გზას ირჩევს...“, 21.30 — „მუსიკალური მაისი“ (მიმოხილვა), 23.30 — საესტრადო კონცერტი.

თეატრი

31 მაისი

შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — თაკვისუფალი თემა; კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — ეზო. ში ავი ძაღლია!;

ეკრანი

გუშინ 13 საათზე დასავლეთ საქართველოში ყველგან მშრალი ამინდი იდგა. ყველაზე მეტი სითბო — 30 გრადუსი ცხაკაიაში აღინიშნა. დანარჩენ დაბლობ რაიონებში 25-29, მთებში 23-26 გრადუსი იყო.

აღმოსავლეთ საქართველოს დაბლობ რაიონებში 22-26. მთებში 13-18 გრადუსი აღინიშნა.

გუშინ 13 საათზე თბილისში თერმომეტრი 25 გრადუსს უჩვენებდა.

დღეს დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია მოღრუბლული ამინდი, წვიმა, სუსტი ქარი, დაბლობ რაიონებში 21-26, მთებში 15-20 გრადუსი იქნება.

აღმოსავლეთ საქართველოში ხანმოკლე წვიმა და ელჭექია მოსალოდნელი, მტკვრის ხეობაში დასავლეთის ქარი იქროლებს, ტემპერატურა — დაბლობ რაიონებში 22-27, მთებში 13-18 გრადუსი.

თბილისში მოსალოდნელია ხანმოკლე წვიმა და ელჭექი, იქროლებს ჩრდილო დასავლეთის ქარი, ტემპერატურა — 25-27 გრადუსი.

ხაქართველოს კომპარტიის გარდაბნის რაიკომი, მშრომელთა დეპუტატების რაიხალბჭოს აღმასკომი და საქართველოს ბიოკომბინატი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ 34 წლისა გარდაცვალა სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბიომრეწველობის მთავარი სამმართველოს საქართველოს ბიოკომბინატის დამხმარე მეურნეობის დირექტორი

ომარ ანატოლიის-ძე გოგლიძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

3. სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის კონსერვატორია

აცხადებს მიღებას 1977-78 სასწავლო წლისათვის დღის განყოფილებაზე:

ფორტეპიანოს, საორკესტრო საკრავების, სოლო სიმღერების, გუნდის დირიჟორობის, კომპოზიციის და მუსიკათმცოდნეობის სპეციალობებით.

მუსიკათმცოდნეობის, კომპოზიციის და გუნდის სპეციალობებზე მიიღება გამოცდები იწარმოებს მხოლოდ ქართულ სექტორზე.

უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელნი აბარებენ გამოცდებს შემდეგ საგნებში:

1. სპეციალობა (საგამოცდო პროგრამია შესრულება) და კოლოქვიუმი ფორტეპიანოს, საორკესტრო საკრავების, გუნდის დირიჟორობის, სოლო სიმღერის სპეციალობებზე შემსვლელთათვის, ხოლო კომპოზიციის სპეციალობაზე — საკუთარი ნაწარმოების წარდგენა;

2. სოლო სიმღერის სპეციალობაზე გამოცდა ჩატარდება ორ ტურად.

3. სოლფეჯიო (წერა, ზეპირი) ყველა სპეციალობებზე;

4. ჰარმონია (წერა, ზეპირი) ფორტეპიანოს, საორკესტრო საკრავების, გუნდის დირიჟორობის, მუსიკათმცოდნეობის და კომპოზიციის სპეციალობებზე;

5. მუსიკის ლიტერატურა — კომპოზიციის და მუსიკათმცოდნეობის სპეციალობებზე, ამავე დროს მუსიკათმცოდნეობის სპეციალობაზე შემომსვლელნი აბარებენ წერით გამოცდას სპეციალობაში (რეფერატი)

6. მუსიკის ელементარული თეორია (წერა, ზეპირი) სოლო სიმღერის სპეციალობაზე;

7. საერთო ფორტეპიანო — კომპოზიციის, მუსიკათმცოდნეობის და გუნდის დირიჟორობის სპეციალობაზე;

8. მშობლიური ენა და ლიტერატურა (წერა, ზეპირი). ყველა სპეციალობაზე.

9. სსრკ ისტორია (ზეპირი) — ყველა სპეციალობაზე

საბუთების მიღება დღიდან გამოცხადებისა 3 ივლისამდე ჩათვლით.

გამოცდები იწარმოებს 6 ივლისიდან, კონსულტაციები 25 ივნისიდან.

განცხადება, დადგენილი ერთიანი ფორმით, შემოტანილი უნდა იქნას კონსერვატორიის რექტორის სახელზე, შემდეგი საბუთების თანდართვით: 1. საშუალო განათლების დოკუმენტის დედანი (ატესტატი, დიპლომი ნიშნების დანართით); 2. დახასიათება კონსერვატორიაში შესასვლელად სასწავლო დაწესებულების დირექციისაგან ან სამუშაო ადგილიდან; 3. სამედიცინო ცნობა (ფორმა №286); 4. ამონაწერი შრომის ან კოლმეურნეობის წიგნაკიდან — ორგანიზაციის ხელმძღვანელის მიერ დამოწმებული, შემოწმების თარიღის აღნიშვნით; 5. ოთხი ფოტოსურათი (უქუდოდ ზომით 3X4); 6. ქორწინების მოწმობის ან გვარის შეცვლის დოკუმენტის დამოწმებული ასლი (იმ პირთათვის, რომელთა პასპორტში აღნიშნული გვარი არ შეესაბამება განათლების დოკუმენტში აღნიშნულ გვარს); 7. ცხობა საცხოვრებელი ადგილიდან; 8. ავტობიოგრაფია.

კონსერვატორიაში შემომსვლელი პირადად წარადგენს პასპორტს, სამხედრო ბილეთს (თადარიგის სამხედროვალდებულნი) ან მიწერის მოწმობას (გასაწვევი ასაკის პირი)

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება კონსერვატორიის მიმღებ კომისიაში.

ქ. თბილისი, გრიბოედოვის 8 ტელ. 99-91-47.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო

8. ფალიაშვილის სახელობის თბილისის მე-2 სამუსიკო სასწავლებელი

აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1977-78 სასწავლო წლისათვის დასწრებული განყოფილების შემდეგ სპეციალობებზე:

1. საფორტეპიანო, 2. საორკესტრო-სიმღერითი: ვიოლინო, ალტი, ჩელო, კონტრაბასი, არფა. ჩასაბერი: ფლეიტა, ჰობოი, კლარნეტი, ფაგოტი, საყვირი, ვალტორნა, ტრომბონი, ტუბა და დასარტყმელი საკრავები. 3. ვოკალური, 4. მუსიკის თეორია, 5. საგუნდო-სადირიჟორო.

სასწავლებელში მიიღებიან ორივე სქესისა ახალგაზრდები 14 წლიდან 30 წლამდე (ვოკალურ განყოფილებაზე — 18 წლიდან), რომლებსაც დამთავრებული აქვთ არასრული საშუალო სკოლა (8 კლასი) და აქვთ საბავშვო მუსიკალურ სკოლის ცოდნის მოცულობის შესაბამისი მუსიკალური მომზადება (გარდა ვოკალურისა). საშუალო სკოლადამთავრებულები დაიშვებიან საგუნდო-სადირიჟორო და ვოკალურ განყოფილებაზე.

მიღება წარმოებს ქართულ და რუსულ სექტორებზე. მიღებები გამოცდები მოეწყობა შემდეგი თანმიმდევრობით: 1) პროგრამის შესრულება; 2) მუსიკალურ-თეორიული საგნების (კოდნის შემოწმება; 3) მშობლიური ენა და ლიტერატურა (წერა); 4) მშობლიური ენა და ლიტერატურა (ზეპირი).

10-კლასს დამთავრებულნი სპეციალობის გარდა აბარებენ გამოცდებს მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში (თხზულება) და სსრ კავშირის ისტორიაში.

სასწავლებელში შემსვლელის განცხადებას უნდა დაერთოს შემდეგი საბუთები:

1. დოკუმენტი რვაწლიანი ან სამუშაო განათლების შესახებ (დედანი). 2. სამედიცინო ცნობა (ფორმა № 286), 3. ავტობიოგრაფია, 4. ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან, 5. 4 ფოტოსურათი (გადაღებული უქუდოდ, ზომა 3X4).

ის პირები, რომელთაც აქვთ პრაქტიკული მუშაობის სტაჟი — სპეციალობით არაკლებ ორი წლისა, წარადგენენ შრომის წიგნაკიდან ამონაწერს. სასწავლებელში მისელისას შესასელელი პირადად წარადგენს დაბადების მოწმობას ან პასპორტს, სამხედრო ბილეთს (თადარიგის სამხედრო. ვალდებული) ან მიწერის მოწმობას (გასაწვევი ასაკის პირი).

განცხადებები მიიღება 1 ივნისიდან 5 ივლისამდე სასწავლებლის კანცელარიაში დილის 10-დან 4 საათამდე.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება სასწავლებლის მიმღებ კომისიაში.

სასწავლებლის მისამართი: ნუცუბიძის ქ. № 181, ტელ. 31-86-11.

ი. ნიკოლაძის სახელობის თბილისის სამხატვრო სასწავლებელი

აცხადებს მიღებას 1977/78 სასწავლო წლისათვის.

მიღება იწარმოებს შემდეგ განყოფილებებზე:

1. ხამხატვრო-პედაგოგიური (ფერწერის განყოფილება);

2. ქანდაკების.

სწავლება ორივე განყოფილებაზე ოთხწლიანია.

სასწავლებელში მიიღებიან ორივე სქესის მოქალაქეები 14-30 წლის ასაკამდე, რომელთაც აქვთ არასრული საშუალო განათლება და წარმატებით ჩაბარებენ მისაღებ გამოცდებს.

გამოცდები იწარმოებს შემდეგ საგნებში: სპეციალურ დისციპლინებში: ხატვა, ფერწერა, კომპოზიცია (ქანდაკებაზე შემსვლელი, ნაცვლად ფერწერისა აბარებს ქანდაკებას); ზოგადსაგანმანათლებლო დისციპლინებში: ქართული ენა (წერა, ზეპირი).

მიხალები გამოცდები დაიწყება 1977 წლის 6 ივლისიდან.

სასწავლებელში შემსვლელმა უნდა შემოიტანოს განცხადება დირექტორის სახელზე, განცხადებას უნდა დაერთოს შემდეგი საბუთები: განათლების მოწმობა (დედანი), დაბადების მოწმობა (დედანი), ცნობა ჯანმრთელობის შესახებ ფორმა № 286, ავტობიოგრაფია, სკოლიდან დახასიათება, სამხედრო ვალდებულებასთან დამოკიდებულების შემოწმება (სამხედრო ვალდებულთათვის), 4 ფოტოსურათი 3X4 სმ (შემოწმებული), ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან.

განცხადებები მიიღება 1977 წლის 4 ივლისამდე ყოველ დღე, გარდა უქმე დღეებისა, დილის 10 საათიდან 4 საათამდე, სასწავლებლის შენობაში, ქუჩაშვილის ქ. № 9-ში, ტელეფონი: 22-06-32.

დირექცია.

ქომუნისტი — **ჩვენი მისამართი და ტელეფონები**

380096 თბილისი-96, ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეებს—99-93-03, 99-03-09, პ/მგ მდივნის — 99-72-80, ხამდივნისა — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული—99-87-61, პროპაგანდის — 93-22-93, მრეწველობის — 93-20-24, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, ხაჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90, უცხოეთის — 99-60-21, წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28-54.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 УЕ 09893

ბეჭ. კ ბკ-ის კომბინატის სტამბა, 380008 თბილისი-8, ლენინის ქ. 14

საარბრიუკენელი სტუმრები

მპიდრო კონტაქტი დამყარდა საქართველოსა და საარის მხარის დედაქალაქებს შორის. თბილისსა და საარბრიუკენის ურთიერთობის შემდგომი განმტკიცების საკითხები განიხილეს საუბრის დროს თბილისს მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ბ. თ. ლობჟანიძემ და რესპუბლიკის დედაქალაქში ჩამოსულმა საარბრიუკენის ობერბურგმისტრმა ოსკარ ლაფონტეინმა.

ეს ო. ლაფონტეინის პირველი ვიზიტი როდია თბილისში. მან აღნიშნა, რომ ორმა კმაყოფილებას გრძნობს, როცა საქართველოს დედაქალაქში ჩამოდის, სადაც მას ბევრი მეგობარი ჰყავს. საარბრიუკენის საზოგადოებრიობა, თქვა მან, ცხოველ ინტერესს იჩენს საბჭოთა საქართველოს ცხოვრებისადმი.

საარბრიუკენის ობერ-ბურგმისტრს საუბარი ჰქონდა საზღვარგარეთის ქვეყნებთან საქართველოს მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოებაში.

30 მაისს ო. ლაფონტეინი მეუღლითურთ ეწვია სამხატვრო აკადემიასა და პოლიერთა და მასწავლეთა სასახლეს. (საქინფორმი).

სალხთა მეგობრობის მეგზოგბე

მიტინგი საიათნოვას საფლავზე

ეს უკვე ტრადიციად იქცა: ყოველწლიურად მაისის ბოლო კვირას ხალხთა მეგობრობის მგზნებარე მეხოტბის საიათნოვას საფლავზე იკრიბებიან ამერიკელთა რესპუბლიკების საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, მწერლები, რათა პატივი სცენ დიდი აზეულის ხსოვნას. ასე იყო გასულ კვირასაც. ათასობით თბილისელი და მოძმე რესპუბლიკებიდან ჩამოსული სტუმარი მივიდა მის საფლავზე, შესანიშნავი პოეტისა და ადამიანისადმი ღრმა პატივისცემის ნიშნად.

საქართველოს დედაქალაქი— ინტერნაციონალური მეგობრობის ქალაქი, მოძმე ხალხთა ბევრი მწერლისა და საზოგადო მოღვაწისთვის მეორე სამშობლოდ იქცა. თბილისში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ბევრი ახერბაიჯანელი და სომეხი მწერალი, რომლებიც უმდერდნენ მეგობრობასა და თანასწორობას, სხვადასხვა ეროვნების ადამიანთა საყვარულსა და პატივისცემას. მათ შორის იყო საიათნოვაც, რომლის შემოქმედება ამერიკაკავკასიის ხალხთა მეგობრობისა და ძმობის ნათელი მაგალითია.

საიათნოვას ხსოვნისადმი მიძღვნილი ხალხმრავალი მიტინგი გახსნა საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანმა გ. ციცეშვილმა.

საიათნოვას პოეტურ მემკვიდრეობაზე, მის პოპულარობაზე, საბჭოთა ხალხების ურთიერთმეგობრობაზე ილაპარაკეს თავიანთ გამოსვლებში სომეხთის მწერალთა კავშირის დელეგაციის ხელმძღვანელმა პოეტმა სარმენმა, საქართველოს მწერალთა კავშირის სომხური სექციის თავმჯდომარემ ბ. სეირანიანმა, პოეტებმა მ. ფოცხიშვილმა, ა. საყიანმა, ლ. სულთანზადემ, ლ. ოვანესიმ, ვ. გორგანელმა, ა. ოვანთასმა, აზერბაიჯანელმა მწერალმა ბაღთიარლმ, მწერალმა და მთარგმნელმა გ. შახნაზარმა, ქურთმა პოეტმა ა. ისკიმ, ირმენოლოგმა ბ. არეელიმ.

საიათნოვას საფლავზე გამართული მიტინგი ხალხური მოძღერლების ერთგვარ შემოქმედებით შეჯიბრად იქცა. ამ დღეს აქ გამოვიდნენ მსახიობები, ხალხური თვითმოქმედების მონაწილეები, თბილისელი მოსწავლეები, მეზობელი რაიონებიდან ჩამოსული ახალგაზრდობა.

ტრადიციისამებრ მიტინგის ყველა მონაწილემ წითელი ვარდებით შეიმკო საიათნოვას — მხატვრული სიტყვის მარად ცოცხალი ოსტატის საფლავი.

საიათნოვას ხსოვნისადმი მიძღვნილ მიტინგს დაესწრო საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის მეორე მდივანი ნ. გურგენიძე. (საქინფორმი).



სურათზე: მიტინგი საიათნოვას საფლავზე.

ვლ. ბინზბურგის ფოტო.

ტანვაჭრობაში

ვილნიუსის სასახლეში

რომრიგ ვიუწყებოდით, ევროპის ჩემპიონობა ვილნიუსის სპორტის სასახლეში მოიპოვა 20 წლის მოსკოველმა ვლადიმერ მარკელოვმა. მეორე ადგილზე გამოვიდა ვორონეველი ალექსანდრე ტკაჩვი, მესამეზე — როსტოველი ვლადიმერ ტიხონოვი. მრავალჯერადი ცალკეული სპორტიკაში საბჭოთა სამეულმა კვლავ მიაღწია წარმატებას: ვ. მარკელოვმა — რგოლებზე, ა. ტკაჩოვმა — თავისუფალ ვარჯიშში, ვ. ტიხონოვმა — ორძელზე. ტაიტზე უძლიერესი იყო ზ. მადიარი (უნგრეთი), ღერძზე — ს. დელჩევი (ბულგარეთი), ბჯენით ხტომებში — ი. ტაბაკური (ჩეხოსლოვაკია) და რ. ბერტელი (გდრ).

ქალაქთბურთი

მესამე გამარჯვება

მოსკოვში, ლენინის სპორტის სასახლეში სსრ კავშირის ვალეგა ნაკრებმა საკონტინენტალთაშორისო თასის მესამე მატჩი გამართა, ამჯერად არგენტინის გუნდთან. ანგარიშით 98:66 (45:35) კვლავ გაიმარჯვეს საბჭოთა ქალთბურთელებმა.

ჭაკრაკი

ზ. სტურუა — ორგზის ჩემპიონი

ქუთაისში დამთავრდა საქართველოს პირველობა ჭადრაკში ვაჟთა შორის. როგორც „კომუნისტის“ მკითხველებმა იცით, ტურნირის ლიდერებს ზ. სტურუასა და ს. ლუბოტიანს გადადებული ჰქონდათ ერთმანეთთან მე-13 ტურის პარტია. ზ. სტურუამ შეძლო მატერიალური უპირატესობის რეალიზაცია და დამსახურებულად გაიმარჯვა. მომდევნო ტურში მან კიდევ ორი ქულა მოიპოვა და 17 შესაძლებლიდან 14 ქულით მეორედ გახდა საქართველოს ჩემპიონი. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველკურსელმა ამ ტურნირში 12 პარტია მოიგო, ოთხი ყაიმით დაამთავრა და მხოლოდ ერთი წააგო. გამარჯვებულის მწვრთნელია საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ო. აღსანიშვილი.

ტურნირზე მეორე ადგილი დაიკავა ს. ლუბოტიანმა (13,5 ქულა), მესამე — სამტრედიელმა მ. არჩვაძემ (12 ქულა). ამ სამმა მოჭადრაკემ უფლება მოიპოვა მონაწილეობა მიიღოს საქართველოს 1978 წლის პირველობის ფინალურ ტურნირში.

დასასრულ მოგვყავს დანარჩენ ადგილებზე გამოსულ მოჭადრაკეთა სატურნირო მდგომარეობა: კ. ჩიგოგიძე — 11 ქულა, ვ. ვეფხვიშვილი და თ. ხანთაძე — ათ-ათი, რ. კაპანაძე (ყველა — თბილისი), ბ. სეცურიანი, (ქუთაისი), შ. ჭიპაშვილი (კასპი) — ცხრა-ცხრა, გ. გრძელიშვილი — 8,5, დ. გედეონიშვილი — 7,5 (ორივე — თბილისი), გ. მენაბდე (ქუთაისი) — 7. გ. თორია (ზუგდიდი), დ. გურგენიძე (საგარეჯო) — ექვსექვსი (რუსთავი) — 4, გ. ტყემუშაკა (ცხაკაია) — 3,5 ქულა.

რ. თავაარიანი.

შეჯიბრების მთავარი მსაჯი, ხაკავშირო კატეგორიის მსაჯი.

ჭიდაობა

ცხრა მედალი

დიდ წარმატებას მიაღწიეს საბჭოთა კლასიკური სტილის მოჭიდაგეებმა თურქეთის ქალაქ ბურსაში, სადაც გუნდურ ჩათვლაში ევროპის ჩემპიონის სატიტელი წოდება შეინარჩუნეს. ათიდან ცხრა საბჭოთა ათლეტმა მედლები მოიპოვა: ორი ოქროს (როსტოველმა სურენ ნალბანდიანმა და მოსკოველმა ნიკოლოზ ბალბოშინმა), ოთხი ვერცხლისა და სამი ბრინჯაოსა.

ფეხბურთი

მეუვიდე ტური

საქართველოს ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის მორიგი მეშვიდე ტური დაიწყო გუშინ მოსკოვის „ტორპედოსა“ და დნეპროპეტროვსკის „დნეპრის“ მატჩით. ანგარიშით 2:0. გაიმარჯვეს ტორპედელებმა.

დღეს ყველა ამბავი ექმნა შეხვედრა: „ლოკომოტივი“-„დინამო“ კ., „არარატი“-„ქარატი“, „ერ. სოვეტოვ“-„დინამო“ მ., „ყარაბაღი“-„ზარია“, „ჩერნომორეცი“-„დნეპრი“.

თბილისის „დინამო“ უმასპინძლებს დონეცკის „შახტიორს“. ამ მატჩს სჯის მოსკოველი არბიტრი ვ. რუდნევი.

* * *

გუშინ თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონზე გაიმართა თბილისის „დინამოსა“ და დონეცკის „შახტიორის“ სათადარიგო შემადგენლობათა მატჩი. ანგარიშით 2:1 გაიმარჯვეს მასპინძლებმა. დინამოელებიდან ბურთები გაიტანეს ნ. ბაზაზაშვილმა და ტ. დვალიშვილმა.

დინამოელები ასეთი შემადგენლობით თამაშობდნენ: გაგოშიძე, რუხაძე, ჭილაია, გოგოლაძე, მუჯირი, მინაშვილი (დურდიაძე), ჩივაძე, ებანოიძე, დვალიშვილი (მუმლაძე), ბაზაზაშვილი, წერეთელი.

ფრე ბროზნოში

აპირას ჩვენი ქვეყნის სტადიონებზე გაიმართა პირველი ლიგის საკავშირო ჩემპიონატის მორიგი ტური ფეხბურთში.

ქუთაისის „ტორპედო“ ასპარეზობდა გრონზნოში ადგილობრივ „ტერეკთან“. შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 0:0.

ბრძოლას უნგრელები განაგრძობენ

28 მაისს ბუდაპეშტის „ნეპშტადიონზე“ 70 ათასი მაყურებლის თანდასწრებით გაიმართა ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის ევროპის მეცხრე ჯგუფის უკანასკნელი შესარჩევი მატჩი უნგრეთისა და საბერძნეთის ნაკრებ გუნდებს შორის. ანგარიშით 3:0 (2:0) გაიმარჯვეს უნგრელებმა (ბურთები გაიტანეს ბუსტამი, ნილაშმი და ფაზეკაშმა) და ხუთი ქულით პირველ ადგილზე გამოვიდნენ ჯგუფში. ახლა უნგრელი ფეხბურთელები არგენტინის საგუნურის მოსამოვებლად ორ მატჩში შეხვდებიან სამხრეთ ამერიკის სამთა ტურნირში (ბრაზილია, პერუ, ბოლივია) გამარჯვებულს.

რედაქტორი
დ. მეიდლიშვილი.